1983/2



ISSN 0132 — 5973

# პიონერი

3
1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე ნადირაშვილი

# სარვამარტო მილოცვა

მინდა ტყეში ბუჩქის ძირას
შევკრა ლურჯი იის კონა,
სარვამარტო განთიადი
მოგილოცო, დედიკონა.

ვიდრე ტყეში წავიდოდე,
ვხატავ იის ლამაზ თვალებს,
ვიცი, ჩემი მორთმეული
ნახატებიც გაგახარებს.



„ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო, კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო!“

ნ. ბარათაშვილი

„ვადიდოთ ქალი, ვადიდოთ დედა! ყოვლისშემძლე სიცოცხლის უშრეტი წყარო, ვადიდოთ ქალი, — დედა, ვის სიყვარულსაც არა აქვს საზღვარი, ვის ძუძუსაც მთელი მსოფლიო გამოუზრდია“.

მ. გორკი

„ვადიდებთ მარად, ვადიდებთ მარად იმ ქალს, რომელსაც ვეძახით დედას“.

მ. ჯალილი

„ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა“.

ვაჟა-ფშაველა

„ქალი — ბურჯი და ქვაკუთხედია, როგორც კერძოდ ოჯახის, ისე საზოგადოებისაც, მთელი მისი ქვეყნის, მისი სამშობლოს... ნეტამც იმ ერს, რომელსაც კარგი ქალები ჰყავს“.

ა. წერეთელი

„...თვით ანგელოსიც კი ვერ მოიგონებს დედაზე უფრო უნაზეს სახელს“.

ედგარ პო

„... ჩვენ გვიყვარს მამა, და, ძმა და
ცოლი,
ჭირში კი მხოლოდ დედას ვიხსენებთ“.

ნ. ნეკრასოვი

„დედობა, ცოლობა და დობა დიდი საქმე არ არის, ეს ზოგი ბუნების საქმეა, ზოგი გარემოებისა, საქმე დედაკაცობაა... რომელსაც სხვა ბევრი მოვალეობა აწევს საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე და ყველაზე უწინარეს ამ მოვალეობას უნდა გაუძლვეს“.

ილია ჭავჭავაძე

„... ო, არ გააგულისო დედაშენი
ოდნავ, —
არ დაიდო არასოდეს ცისოდენა
ცოდვა“.

მოჰამედ ტაგი ბეჰარი

„ქვეყანაზე არის უმშვენიერესი არსება, რომლის წინაშე ჩვენ ყველანი ვალში ვართ — ეს არის დედა“.

ნ. ოსტროვსკი

„ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს!“ — სკკპ XXVI ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან წარმოთქმული ამ სიტყვების მკაფიო დადასტურებად იქცა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ბავშვთა აღმზრდელობით-გამაჯანსაღებელი ქალაქის — „მზიურის“ მშენებლობა.

„მზიურის“ მშენებლობაში უფროსების მხარდამხარ აქტიურად ჩაება საქართველოს სახელოვანი პიონერია. „მზიური მთელ რესპუბლიკას ამშვენებს, მზიურს ყველა თავის მხარეში აშენებს!“ — ასეთი იყო 1981 წლის ოქტომბერში გამოცხადებული ოპერაციის დევიზი. პიონერ-მოსწავლეები ოპერაციაში მონაწილეობდნენ ბეჯითი სწავლით, გარჯა-შრომით, ქალაქისა და სოფლის კეთილმოწყობაში შეტანილი წვლილით, მაკულატურისა და ჯართის შეგროვებით, ლიტერატურისა და ხელოვნების, ფიზკულტურისა და სპორტის სხვადასხვა წრეებში აქტიური მონაწილეობით.

დამთავრდა პირველი ეტაპი ოპერაციისა „ვაშენებთ „მზიურს“ — პიონერთა ოცნების ქალაქს“. მრავალი სასიკეთო საქმე გაკეთდა ამ პერიოდში. გაშენდა ახალი ბაღები და სკვერები, კაკლის ხეივნები, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაეტყოთ ნორჩ მევენახეთა თუ მეჩაიეთა, მებაღეთა თუ მეციტრუსეთა მარჯვე ხელი, წითელყელსახვევიანი გოგო-ბიჭები აქტიურად მონაწილეობენ სასურსათო პროგრამის განხორციელებაში.

1983 წლის 5-7 იანვარს ჩვენს დედაქალაქში ჩატარდა ოპერაციაში გამარჯვებულ ლაშქართა წარმომადგენლების რესპუბლიკური შეკრება, რომელზეც შეჯამდა განვლილი საქმიანობა და დაისახა ახალი ამოცანები.

პირველ დღეს შეკრების მონაწილეებმა დაათვალიერეს „მზიურის“ კომპლექსი. შესასვლელთან პატარა ბიჭუნამ ფარდა ასწია და ღიმილით შეიპატიჟა პიონერები. ბავშვები უცბად აღმოჩნდნენ არაჩვეულებრივ ქვეყანაში. მათ აქ დახვდნენ ძველი კარგი ნაცნობები — წიგნების პერსონაჟები. აგერ ფართო, ქათქათა

17.463



შეკრების მონაწილენი

# კვლავაც გამარჯვებით გევლოთ!

**ნანა ფაჩულიშვილი**

კიბეები, ლამაზი, ფერადი ქვებით მოპირკეთებული აუზი, ბავშვთა კაფე „ცეროდენა“, რომლის თავზე ჩამომჯდარა კარლსონი. ნორჩებს მხიარული ატრაქციონებისაკენ გაექცათ თვალი. აღტაცებას ვერ მალავდნენ, ნათელი, გაცისკროვნებული სახეებით ათვალიერებდნენ ყველაფერს. სიამაყით აევსოთ გულები, რადგან ამ გრანდიოზული კომპლექსის მშენებლობაში ისინიც მონაწილეობდნენ, მათი წვლილიც არის ამ ჭეშმარიტად საშვილიშვილო საქმეში.

არქიტექტორმა ზაზა სვანაძემ საინტერესოდ მოუთხრო პიონერებს „მზიურის“ მშენებლობის მომავალ გეგმებზე. შეკრების მონაწილეებმა საფუძველი ჩაუყარეს მეგობრობის ხეივანს.

მეგობრობისა და გაცნობის საღამოზე კი მოსწავლეებს საშუალება მიეცათ უკეთ გასცნობოდნენ ერთმანეთს, შთაბეჭდილებები გაეზიარებინათ, თავ-თავიანთ სასახელო საქმიანობაზე მოეთხროთ ერთმანეთისათვის.

**თენგიზ ვარშანიძე,** ხელვაჩაურის რაიონის ურეხის საშუალო სკოლის მოსწავლე:



— კარგად გვაქვს შეგნებული, რომ პური სახალხო სიმდიდრეა და მას გაფრთხილება უნდა. ამიტომ სკოლის ბუფეტში გამოვყავით მორიგეები, რათა პურის არც ერთი ნაჭერი უსარგებლოდ არ დაიკარგოს. ნარჩენებით ვკვებავთ ბოცვრებს, ხბორებს, ღორებს. გარემოს გამწვანება-გამშვენიერებაშიც აქტიურად ვმონაწილეობთ. დავრგეთ 200 ძირი კაკალი, 250 ძირი თუთა, მოვკრიფეთ 20 ტონა ჩაის ფოთოლი.

**მამუკა კაკუშაძე, მამია ხერხაძე, ბელა სულიაშვილი,** ტყიბულის რაიონის სოფელ გურნას საშუალო სკოლის მოსწავლეები:

— ძირითადად ყურადღება სასურსათო პროგრამის განხორციელებაზე გავამახვილეთ. გამოვზარდეთ 800 ფრთა ქათამი, სახელმწიფოს ჩავაბარეთ 310 კგ ღორის ხორცი, 2 ჰექტარ ფართობზე მოგვყავს სიმინდი, ჩაი, ბოსტნეული, ხილი. ახლახან შევიძინეთ 25 ძირი ლიმონი. ვმეგობ-

◀ უცნობი ჯარისკაცის საფლავთან.



გამოდის 1926 წლიდან
საქართველოს ალკკ ცკ-ის და
ვ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი

პიონერი

3 მარტი 1983

საქ კპ ცკ-ის გამომცემლობა

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო ... ბიბლიოთეკა

კიდევ დიდხანს ისმოდა დარბაზში გულღია საუბარი, ტკბილი სიმღერები და ცეცხლოვანი ცეკვების რიტმები.

სტუმრებიდან ბევრი პირველად იყო დედაქალაქში, ამიტომ მეორე დღეს მათთვის მეტად სასარგებლო და საინტერესო ექსკურსია მოეწყო.



ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘᲡ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲛᲙᲝᲑᲐᲓ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ.

რობთ ტყიბულის ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროს მუშებთან. მაღაროს ტერიტორიაზე უნდა გადავრგოთ 1200 კაკლის ხე, რომლებიც სკოლის ფართობზე გავახარეთ.

მიმოწერა გვაქვს ბელორუს, მოლდაველ და ლიტველ პიონერებთან.

მეტად საჭირო და სასარგებლო თაოსნობით გამოვიდნენ შარშანდელი მეათეკლასელები. მათ ერთსულოვნად გადაწყვიტეს სოფელში დარჩენილიყვნენ, რითაც დიდად გაახარეს კოლმეურნეობის ვაცკობა და მთელი სოფელი. 22 დეკემბერს ამ ახალგაზრდებს საზეიმო შეხვედრა მოვუწყეთ სკოლაში. დარწმუნებულნი ვართ, რომ მათი ეს ინიციატივა ტრადიციის სათავე გახდება. ჩვენი სკოლის ბავშვები წარმატებით ვებრძვით სარეველას. გადაწყვეტილი გვაქვს ნორჩების ქალაქ „მზიურში“ ჩამოვიტანოთ და ჩვენი რაზმეულის სახელზე გავაშენოთ ხეხილის ბაღი, მოვაწყოთ ლიმონარიუმი.

**ლია იაკობიშვილი, ქეთინო ხუნდაძე, გურჯაანის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლეები:**

— ჩვენი რაზმეული ოპერაციის გამოცხადებისთანავე აქტიურად ჩაება მის განხორციელებაში. ინიციატივა ნორჩ ნატურალისტებს ეკუთვნოდა. მათ შემოგვთავაზეს, გაგვეშენებინა პიონერული ხეივანი. სულ მალე სიტყვა საქმედ ვაქციეთ. სკოლის ეზოში, კიბესთან ლამაზი ყვავილნარი გავაშენეთ, რომელმაც სულ შეცვალა იქაურობა. ჩვენი უმცროსი მეგობრების—ოქტომბრელებისათვის ავაგეთ პატარა, კოხტა პავილიონი, სადაც მათ შეუძლიათ თავისუფალ დროს ითამაშონ ჭადრაკი, შაში და სხვა თამაშობები. მოვაწყვეთ საკურდღლე, თავდაპირველად მხოლოდ 6 ბოცვერი გვყავდა, მაგრამ ყველამ იცის, რომ ისინი სწრაფად მრავლდებიან, ჰოდა, ჩვენი ნაცარების რაოდენობაც თანდათან მატულობს.

**სვეტლანა ნემსიწვერიძე,** ქ. წყალტუბოს № 3 საშუალო სკოლის მოსწავლე:

— ჩვენი სკოლის მიდამოებში 120 ძირი კაკალი დავრგეთ. მათ მოსავლელად რაზმებს შორის მორიგეობა დავაწესეთ. ვაპირებთ სკამებისა და მაგიდის დადგმას. აქაურობა პიონერების თავშეყრის და დასვენების ადგილად უნდა გადავაქციოთ.

პიონერებმა რომ ბეჯით შრომასთან ერთად კარგი დასვენებაც იციან, ეს დაადასტურა მხიარულმა და საინტერესო კონცერტმა; ნორჩები ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ ლექსის თქმასა თუ სიმღერაში, ცეკვასა თუ სპორტულ თამაშებში. შემდეგ კი ყველამ ერთად შეისწავლა რუსული, უკრაინული და სომხური ცეკვები.

მრავალი სტუმარი მოუჯადოებია ჰაღარა თბილისის თვალწარმტაც სილამაზეს, ბავშვებიც დიდი სიამოვნებით ათვალიერებდნენ ნარიყალასა და მეტეხის პლატოს, გამარჯვების პარკს და თბილისის ძველ უბნებს. შემდეგ პიონერები კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეს ეწვივნენ. გვირგვინებით შეამკეს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვ. ი. ლენინის ძეგლი. გაიმართა საზეიმო შეკრება. იგი გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ მ. ხაჩიძემ. მან მხურვალედ მიულოცა პიონერებს ამ შეკრებაში მონაწილეობა და I ეტაპზე გამარჯვება.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის განყოფილების გამგემ გ. ბუკიამ ილაპარაკა იმაზე, რომ „მზიურის“ მშენებლობა ნათელი დადასტურებაა ჩვენი პარტიისა და მთავრობის ზრუნვისა ნორჩი თაობის კომუნისტური აღზრდისათვის. პატარების გულების გასახარად ძალას და ენერგიას არ იშურებენ ინჟინრები და კალატოზები, არქიტექტორები და დურგლები. მოსწავლე-პიონერებმა მნიშვნელოვანი გამარჯვებებით დაამთავრეს მშენებლობის I ეტაპი და ახლა ახალი ამოცანების

წინაშე დგანან. ეჭვი არ არის, რომ ისინი ჩვეული მუყაითობითა და ენერგიით დალაშქრავენ ახალ ზღუდეებს.

კრებას პატაკი ჩააბარეს კომკავშირის ახმეტის რაიკომის მდივანმა თინა თორღვაიძემ, გუდაუთის მეხუთე სკოლის მერვე კლასის მოსწავლემ გუნდა ცვეიბამ, გორის რაიონის სოფელ ტყვიავის სკოლის უფროსმა პიონერხელმძღვანელმა გიული ვაგაზაშვილმა და სხვებმა. მათ დამსწრეთ მოუთხრეს პიონერების სასახელო საქმეებზე.

თბილისელ მოსწავლეთა სახელით გამოვიდა 85-ე სკოლის მოსწავლე, კომკავშირული შტაბის „თანატოლის" თავმჯდომარე კობა გილაშვილი:

— ჩვენი ქალაქის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ ოცნების ქალაქ „მზიურის" მშენებლობაში. პიონერული შტაბის „კოცონისა" და კომკავშირული შტაბის „თანატოლის" წევრები აწყობენ შაბათობებს, ასუფთავებენ „მზიურის" მიდამოებს, რგავენ ნაძვის ნერგებს, წყალს უსხამენ ფერდობზე შეფენილ ხავსს, ეხმარებიან მშენებლებს ცემენტის მოზიდვასა და გზების მოპირკეთებაში.

ჩვენდა სამწუხაროდ, არიან ისეთებიც, რომლებიც ხელყოფენ ქალაქის სილამაზეს, ისინი ვერ ხვდებიან, რომ რაც აქ შენდება და კეთდება, მათთვის კეთდება, მხოლოდ ისინი არიან ამ მშვენიერების ბატონ-პატრონნი. ამიტომ გადაწყვეტილი გვაქვს მორიგეობა დავაწესოთ ჩვენს სამფლობელოში და არავის არ მივცეთ უფლება ხელი შეახოს თუნდაც ერთ ხეს ან ფოთოლს.

„მზიურის" პროექტის ავტორმა **ლევან კილაძემ** ვრცლად მოუთხრო ბავშვებს, თუ როგორ წარიმართება მომავალში „მზიურის" მშენებლობა. მდინარე ვერეს ხეობაში ბეთანიის მონასტრამდე გადაიშლება ეს კომპლექსი, აშრიალდება ბოტანიკური ბაღი, მწყობრში ჩადგება ახალი ატრაქციონები, იმუშავებს საბაგირო გზა, ბავშვთა რკინიგზა, გაკეთდება ორი წყალსაცავი, ერთ-ერთ მათგანში უხვად იქნება წარმოდგენილი წყალქვეშა სამყაროს ულამაზესი ფლორა და ფაუნა. „მზიური" ბუნებისა და არქიტექტურის იშვიათი, ჰარმონიული შერწყმის ნიმუში იქნება.

პიონერული და კომკავშირული მოძრაობის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ჟვანიამ აქტიურ მზიურელებს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელები გადასცა.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, 1983 წელი — ოპერაციის II ეტაპი — ცხადდება „მზიურის" მშენებელთა ინტერნაციონალური მეგობრობის წელიწადად. „მზიურის" მშენებელთა ლაშქრებს ევალებათ:

მოაწყონ დაუსწრებელი მოგზაურობა ძმობისა და მეგობრობის თანავარსკვლავედში, მეგობრული ურთიერთობა დაამყარონ მოძმე რესპუბლიკების თანატოლებთან, მოაწყონ ინტერნაციონალური მეგობრობის ამსახველი გამოფენები, კუთხეები, სტენდები. მზიურელთა თაოსნობით და უშუალო მონაწილეობით გამართონ სკოლებში, პიონერთა სასახლეებსა და სახლებში ინტერნაციონალური მეგობრობის დღეები, ლიტერატურული საღამოები, ფესტივალები, შეხვედრები, წარმოდგენები, ჩაატარონ ვიქტორინები, კონკურსები. რუსი და ქართველი ხალხების სამეგობრო ხელშეკრულების 200 წლისთავს მიუძღვნან სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები, ლაშქრობები, სამხედრო-სპორტული თამაშობები. მეგობრული ურთიერთობა დაამყარონ ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობებზე მომუშავე ქართველ ახალგაზრდებთან.

ისევე, როგორც ოპერაციის პირველ ეტაპზე, ჩვენი რესპუბლიკის ყველა ქალაქში, სოფელსა და სკოლაში უნდა დარჩეს მეორე ეტაპზე გაშლილი საქმიანობის რაიმე სახსოვარი. ამიტომ 22 აპრილს, ვ. ი. ლენინის დაბადების დღეს, საფუძველი ჩაეყაროს ახალ სკვერს და ტყეპარკს, ხეხილისა და ციტრუსოვანთა ბაღს და მას ეწოდოს „მეგობრობა—83".

პიონერ-მოსწავლეებმა ერთხმად მოიწონეს დავალება და მისი პირნათლად შესრულებისათვის მზადყოფნა განაცხადეს.

გვჯერა, რომ ჩვენი მუყაითი გოგო-ბიჭები ახალი გამარჯვებებით გვასახელებენ და თავიანთ ნობათს მიუძღვნიან ქართველი და რუსი ხალხების ურღვევი და მარადიული ძმობის ზეიმს.

კვლავაც გამარჯვებით გევლოთ, მზიურელებო!



გაივლის დრო და აშრიალდება მზიურელთა დარგული მეგობრობის ხეივანი.

ზურაბ ჩხაიძე

მხატვარი
ზ. მეძმარიაშვილი



# ჯადოსნური საყვირი

მოთხრობა

— ლუკა?! აქ საიდან გაჩნდი? გამარჯობა შენი.

— ექსკურსიაზე ვართ, — ისე თქვა ბიჭმა, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო.

— შენ და შენი ამხანაგი? — გაუღიმა ბაჭიას და მერე შუბლზე მიაშვირა.

— მოგშუშებია.

ბიჭმა უნებურად ხელი მოისვა შუბლზე.

— ხედავ, რას მუშაობენ? — მიანიშნა ბავშვებზე კაცმა. — შენ არ გაინტერესებს ხატვა?

— მაინტერესებს, — თქვა ბიჭმა.

— მერე, შეგიძლია?

ბიჭმა მხრები აიწურა.

— არასოდეს გიცდია?

— როგორ არა.

— ერთ წუთს დამიცადე, — თქვა კაცმა და ნორჩ მხატვრებს მიაშურა.

ბიჭებმა დრო იხელთეს, ბუს გალიას შემოუარეს. ბუმ მზერა გაადევნა და თავი წრიულად მოატრიალა.

— ბიჭოო! ეს რა ქნა! — გაოცდა ბაჭია.

კიდევ ერთხელ შემოუარეს გალიას, ბუმ ისევ ისე მოატრიალა თავი.

კაცი პლანშეტით და ფანქრით დაბრუნდა.

— მომყევით, — უთხრა ბიჭებს და მაიმუნების გალიასთან მიიყვანა.

— აბა, თუ შეძლებ, დამიხატე მაიმუნი.

ლუკა სახატავად მოემზადა. როგორც კი დააპირა ხაზის ჩამოსმა, მომწვანო-მოყვითალო ფერის პატარა მაიმუნი წამოდგა და ადგილი შეიცვალა. კაცს გაეცინა.

— სწრაფად უნდა მოხაზო კონტური, სანამ გაინძრევა.

ბიჭმა ამჯერად მოასწრო მაიმუნის კონტურის ჩახატვა, სანამ იგი პოზას შეიცვლიდა.

— ყოჩაღ, კარგია, — მოუწონა კაცმა. — აბა, ახლა შენ სცადე! — პლანშეტი ბაჭიას გადააწოდა.

ბაჭია ის იყო დავალების შესასრულებლად მოემზადა, რომ გალიებთან ინტერნატის ბავშვებიც შემოიკრიბნენ. წინ ძია ბენო მოუძღოდათ. პირდაპირ მათკენ გამოემართა და ბიჭებს თავზე წამოადგა.

— სად დაიკარგეთ?! — მკაცრად გადახედა ბავშვებს.

— ჩვენ, ბენო მასწ... ტროლეიბუსიდან ჩამოსვლა ვერ მოვასწარით, ორ გაჩერებაზე გავცდით და დაგვაგვიანდა... — თვალები აახამხამა ბაჭიამ.

— ძლივს გამოვიგნეთ გზა... — დაუდასტურა ლუკამ.

— ეგ ზღაპრები ერთმანეთს მოუყევით. მერე მოგელაპარაკებით!

ბენო მასწავლებელმა ბაჭიას ხელში პლანშეტი რომ დაუნახა და თმაშევერცხლილ კაცსაც თვალი შეავლო, ხმა შეარბილა.

— აქ რას აკეთებთ?

— არაფერს, ვხატავთ! — თქვა ბაჭიამ.

— თქვენთან არიან, ბატონო? — საუბარში ჩაერია კაცი.

— დიახ, ჩემთან არიან.

— საიდან ბრძანდებით? — დაინტერესდა კაცი.

— სამუსიკო ინტერნატის აღსაზრდელები არიან, — მიუგო ბენო მასწავლებელმა.

— ამ ბიჭს ხატვის ნიჭი ჰქონია, — თქვა კაცმა ცოტა ხნის შემდეგ.

ლუკამ თავზე ისევ იგრძნო მისი ხელის სითბო.

— თქვენთან არ ასწავლიან ხატვას? — ჩაესმა კაცის ხმა.

---

დასასრული. იხ. „პიონერი“ № 2.

— ჩვეულებრივი წესით, მეშვიდე კლასამდე, — თქვა ბენო მასწავლებელმა.

საუბარი ბავშვების ხარხარმა გააწყვეტინათ. ფიდოს თუთის შტო მოეტეხა, მაიმუნებისთვის მიეწვდინა და ისინიც გამალებით გლეჯდნენ, პირში იტენიდნენ ფოთლებს.

— ფიდო, ახლავე მოსცილდი აქაურობას! — მწყრალად გასძახა ძია ბენომ.

ბიჭი უკანა რიგებისკენ გაიძურწა.

ბავშვები გალიებთან გაიფანტნენ, მაიმუნების ყურებით რომ იჯერეს გული, მხატვარ ბავშვებსაც ჩამოუარეს.

— კარგი ბავშვები გყოლიათ, — უთხრა ბენო მასწავლებელმა თმაშევერცხლილ კაცს და დაემშვიდობა. ყველანი წასასვლელად გაემზადნენ, ჩასასვლელი კიბისკენ გასწიეს.

— ლუკა! — მოუხმო კაცმა.

ბიჭი კიბის თავზე შედგა. კაცი მიუახლოვდა.

— მაშ, ინტერნატში ცხოვრობ?

ბიჭმა თავი დაუქნია.

— მშობლები თუ გყავს?

ბიჭმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— არც ნათესავი? — ჰკითხა შეშფოთებულმა კაცმა.

— არავინ ქვეყანაზე... — თქვა ბიჭმა და ბაჭიას გახედა, რომელიც შორიახლოს უცდიდა.

— რას ამბობ, ბიჭო! — კაცს გული შეეკუმშა, — ლუკა... — სიტყვა ყელში გაეხირა. — დახატე რამე. — უთხრა, სხვა რომ ვერაფერი მოიაზრა.

სწრაფად შებრუნდა. ქაღალდები, ფუნჯები და საღებავები მოუტანა.

— აუცილებლად დახატე რამე. გესმის?

— გმადლობთ, — უთხრა ბიჭმა. — ნახვამდის.

კაცი დიდხანს იდგა გაუნძრევლად და ხელიხელჩაკიდებულ ორ ბიჭს გაჰყურებდა, სანამ ისინი თვალს მიეფარებოდნენ.

●

კაცი მოლბერტთან იდგა და ხატავდა. ქალი სავარძელში მოკალათებულიყო, ტორშერის შუქზე ჟურნალს ათვალიერებდა. მის ფეხებთან კატა იწვა და თვალებს ლულავდა. მოლბერტთან პატარა მრგვალ მაგიდაზე სიგარეტი აბოლებულიყო.

— გოგი, რა მოგივიდა? რამდენს ეწევი?! — ჩაილაპარაკა ქალმა ისე, რომ თავი ჟურნალიდან არ აუღია.

კაცმა სიგარეტი საფერფლეზე დააქრო და ხატვა განაგრძო. ქალმა თავი ასწია, კაცს გახედა, წამოდგა და სამზარეულოში გავიდა.

კაცმა მოლბერტიდან უკან დაიხია. ნახატს დააკვირდა. ისევ მიუახლოვდა და სანგინის ღერო ორ ადგილას შეახო. ისევ დაიწია და დააცქერდა ნახატს. გაუნძრევლად იდგა კარგა ხანს, სანამ ქალი არ შემოვიდა ჩაის ჭიქებითა და ლამბაქებით ხელში. ქალმა სიგარეტის ბოლით დანისლულ ოთახს მოავლო თვალი და ფანჯრისკენ გაემართა. ფარდები გადასწია, ორივე ფანჯარა გამოაღო. შემდეგ მოლბერტთან მივიდა და ნახატს დააცქერდა.

ქუჩაში მკერდგაღეღილი ბიჭი მოაბიჯებდა. თავი მაღლა აეწია და პირდაპირ იყურებოდა.

— ეს ის ბიჭი არ არის, საბაგირო გზაზე რომ შემოგვხვდა? — გაიხსენა ქალმა.

— სწორედ ის არის, ლუკა, — უპასუხა კაცმა.

— კარგი ნახატია, — კმაყოფილებით აღნიშნა ქალმა.

— თვითონ ბიჭია კარგი, — თქვა კაცმა.

— რა იცი? — ჰკითხა ქალმა. — ერთხელ შევხვდით და საიდან დაასკვენი?

— ასე მიგრძნობს გული. ისე კი, ბედისაგან დაჩაგრულია. ობოლია, ქვეყანაზე არავინ არ ჰყავს.

— ამასაც გული გიგრძნობს? — ჩაიღიმილა ქალმა.

— არა, დღეს მეორედ შევხვდი. ბაღში შემოირბინა, როცა ბავშვებს ხატვას ვუტარებდი. ინტერნატში ცხოვრობს თურმე.

— უყურე! იმ დღეს არ გაგვიმხილა, — შენიშნა ქალმა.

— ჰო. დღეს იქ გავიგე ყველაფერი...

— რა გაიგე? რა გითხრა, რაო? — იკითხა ქალმა, როცა ორივენი სუფრას მიუსხდნენ.

— ქვეყანაზე არავინ ჰყოლია, არც მშობლები, არც ნათესავი.

— მშობლები არ მახსოვსო?

— ეგ არ მიკითხავს, — თქვა კაცმა. — ისე კი საინტერესოა...

ჩაი მოსვა. ფიქრიანი, მაგრამ უმისამართო მზერა ჰქონდა.

— რაზე ფიქრობ? — ჰკითხა ქალმა და თვითონაც მოსვა ჩაი.

— ისევ იმ ბიჭზე... როგორ მოხდა, რომ ასე უთვისტომოდ დარჩა?

— ცხოვრებაში ათასნაირი რამ ხდება, — თქვა ქალმა. — გეცოდება?

— რა საკითხავია, — მიუგო კაცმა. მერე თვალი თვალში გაუყარა და ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხა: — რას იტყოდი, სახლში რომ მომეყვანა? მიიღებდი?

ქალმა თვალები მაგიდაზე დახარა, მერე ისევ ზევით აიხედა.

— როგორ, რანაირად!

— როგორც შვილს! გაზრდიდი?

— ასე უცებ პასუხის მოცემა მიჭირს, გოგი. ერთს კი გეტყვი, ამაზე ალბათ უფრო ადრე უნდა გვეფიქრა და ალბათ უფრო სხვაგვარად.

კაცს ხმა არ დაემორჩილა.

— მაინც რაგვარად? — ძლივს ამოთქვა.

— ბავშვს თუ ავიყვანთ გასაზრდელად, უფრო პატარა უნდა იყოს, — განუმარტა ქალმა, — ჩვენი მშობლობა რომ დაიჯეროს და იწამოს. მერე თანაც ბიჭი? მე გოგოს ვამჯობინებდი.

კაცს ხმა არ გაუღია. უძრავად იჯდა.

— გოგოები, მართალია, თხოვდებიან, მაგრამ უფრო გულმოწყალენი არიან.

კაცი კვლავ დუმდა.

— ადამიანს გააჩნია, — თქვა ბოლოს.

— გოგი, შენ ვერ ერკვევი ერთ რამეში, — განაგრძო ქალმა.

— რა გაქვს მხედველობაში?

— ბიჭის ასაკი. რამდენი წლისაა?

— თორმეტისა იქნება.

— ესე იგი, ბავშვობას ეთხოვება უკვე, გესმის? ის უკვე ბავშვი აღარ არის... და ჩვენს მშობლობას ვერ ირწმუნებს! ჩვენ კი ვუპატრონებთ, მაგრამ ის აღარ გვიპატრონებს მერე, გესმის?

— შენ უფრო ჩვენზე ფიქრობ, ვიდრე ბავშვზე! აღზრდას და მოპყრობას გააჩნია, ასაკი არაფერ შუაშია, — უპასუხა კაცმა.

— არ ვიცი, ვერ გეტყვი, როგორ უნდა შევიფეროთ ამხელა ბიჭი! ან თვითონ როგორ შეგვეგუება? ძნელია, ძნელი, პირდაპირ არ ვიცი, რა პასუხი გაგცე...

იმ დილით ლუკამ გაიღვიძა თუ არა, უმალ ფანქარი აიღო და ხატვას შეუდგა.

ქაღალდზე ორი ცხენის ფიგურა გამოხაზა, კისრებით ერთმანეთს გადააჭდო. მერე წინა პლანზე ყალყზე შემდგარი ორი კვიციც გამოსახა. კვიცები თანაბრად აღმართა, ტორებით ერთმანეთს შეახო...

ბიჭს ყურში გარკვევით მათი ჭიხვინიც კი ჩაესმა. მერე ფუნჯი დაასველა და ნახატის გაფერადება დაიწყო.

პირველად ფონი დაფარა ხასხასა მწვანე ფერით, მერე კი მწვანე მინდორი ყვავილებით ააფერადა. ძალიან გაერთო მუშაობით.

მაშინღა გამოერკვა, როცა ბაჭიამ გაიღვიძა და მთქნარებით წამოადგა თავზე. პირდაღებული მისჩერებოდა ხან ნახატს, ხანაც თავის მეგობარს.

ყვავილებით მორთულ მინდორში ყალყზე შემდგარი ორი კვიცი შებმოდა ერთმანეთს. შორიახლო კისერგადაჭდობილი ორი ცხენი შეჰყურებდა თამაშის ჟინით შეპყრობილ კვიცებს.

— ლუკა... რა კარგია! — ტაში შემოჰკრა ბაჭიამ.

ხმაურზე აჩიკომაც წამოყო თავი და მეგობრებთან გაჩნდა.

— ეუუ, ბიჭოს! — პირი დააღო აჩიკომ.

— მოგწონთ? — იკითხა ლუკამ და ფუნჯი წყალში გაალაღლაღა.

— ძალიან! აი, თურმე რა შეგძლებია! — აღტაცებით თქვა ბაჭიამ.

— ლუკა, ეს შენ დახატე? — ჰკითხა აჩიკომ.

— ჰო, მე, — თქვა ბიჭმა. — მერე რა მოხდა?

— როგორ დახატე?

— ავიღე და დავხატე, — გაიღიმა ბიჭმა. — მოგწონს?

— არა უშავს რა...

— მე კი ძალიან მომწონს, — გააწყვეტინა სიტყვა ბაჭიამ.

— ჰოდა, ამ ნახატს შენ გაჩუქებ! — უთხრა ბიჭმა.

— მართლა, ლუკა?

— ჰო. ნახატი ვისაც მოსწონს, იმას უნდა აჩუქო.

ბაჭიამ ხელში აიტაცა ნახატი, საწოლთან მიირბინა და კედელზე გააკრა.

— შენ კი, გული რომ არ დაგწყდეს, მითხარი, რა მოგწონს, იმას დაგიხატავ და გაჩუქებ, — უთხრა ლუკამ აჩიკოს.

— მაგას ყველაზე უფრო ნამცხვრები მოსწონს. ნამცხვრები დაუხატე, — გაიკრიჭა ბაჭია.

— ნამცხვარს ისედაც ვიშოვი, თუ შეუძლია, მე დამხატოს, ოღონდ ცხენზე შემჯდარი, — თქვა აჩიკომ, „ალვირი“ მოზიდა და ცხენივით დაიჭიხვინა.

საღამო ხანს ინტერნატის შესასვლელთან შვინდისფერი მანქანა გაჩერდა. იქიდან თმაშევერცხლილი კაცი გადმოვიდა და შენობაში შევიდა.

დერეფანში რამდენიმე ბავშვის გარდა, კაცმა ფანჯარასთან მიმდგარი წითელმკლავსახვევიანი დარაჯი და სათვალიანი მაღალი, ხმელ-ხმელი კაციც შენიშნა. თავის მხრივ სათვალიანმაც დაინახა თმაშევერცხლილი კაცი და შესახვედრად გაეშურა.



— გამარჯობათ, — მიესალმა თმაშევერცხლილი კაცი. — გოგი კარსანიძე.

— ბენო მიქაშავიძე, — ხელი ჩამოართვა სათვალიანმა, — უფროსი აღმზრდელი.

— მე თადეოზს მეძახიან, — გაეცნო დარაჯი.

— რაზე შეწუხებულხართ? — ჰკითხა სათვალიანმა.

— ლუკას სანახავად მოვედი.

— კი ბატონო! თადეოზ, მოძებნე ერთი, თუ კაცი ხარ!

— აჩიკო! — გადასძახა დარაჯმა გაოფლილ, ნარბენ ბიჭს, რომელიც ის-ის იყო დერეფანში შემოიჭრა. — ლუკა სად არის?

— ოთახში იქნება, — გაეპასუხა ბიჭი.

— ადი, მოგაკითხეს-თქო, ძირს ჩამოვიდეს.

ბიჭმა კიბისკენ გაკურცხლა.

— ლუკააა! ლუკააა! — უკვე მეორე სართულიდან მოისმოდა მისი ყვირილი.

— რამდენი წლისაა? — ჰკითხა კაცმა სათვალიანს.

— ვინ, ლუკა? თერთმეტის, თუ არ ვცდები.

— მე უფრო დიდი მეგონა, — თქვა კაცმა. — როგორი ბიჭია?

— ძალზე გონიერი და მგრძნობიარე, — უთხრა უფროსმა აღმზრდელმა.

— აქ საიდან მოხვდა? — მცირე ხნის შემდეგ იკითხა კაცმა.

— ბავშვთა სახლიდან.

— მართლა არავინა ჰყავს?

— არავინ.

— ბევრი გყავთ ასეთები?

— არა. ორად ორი, — უპასუხა უფროსმა აღმზრდელმა და ზევით აიხედა.

ბიჭი აგვიანებდა.

— რა გაყვირებს, ბიჭო? — ჰკითხა აჩიკოს ლუკამ და ცხენზე ამხედრებული ბუთხუზა ბიჭის სომბრეროს ირგვლივ შავი ზოლი მოავლო.

— ვაიმე, ლუკა, ეს მე ვარ? — სიხარულისგან იყვირა აჩიკომ.

— ვერა ხედავ, რომ შენა ხარ? — მიუგო ლუკამ და ლოყები დაბერა.

— ვაჰ! მართლა მე ვარ, ე! ადექი ჩქარა, გეძახიან... ვიღაც კაცი გელოდება...

— ვინ კაცი?

ბიჭს მკერდში რომელიღაც სიმი აუთრთოლდა.

— შენ იცნობ!

თითქოს ჩანგს ჩამოჰკრეს, თითქოს ამ წუთს ელოდა წლობით მთელი მისი არსება. მოზიდული მშვილდივით დაიძაბა. დერეფანში გამოვარდა, ხის კიბეებზე დაეშვა და უფროსების წინ ისარივით დაერჭო.

— ლუკა, — გაუღიმა კაცმა, — გამარჯობა შენი.

— გამარჯობათ, — ხმა გაიღო ბიჭმა.

გული გამალებით უცემდა. ყვრიმალთან ძარღვები უფეთქავდა, გულის ძგერას აჰყოლოდა.

— შენს სანახავად მოვედი, — უთხრა კაცმა. — მაინტერესებს, როგორ ცხოვრობ.

— კარგად. — უთხრა ბიჭმა და ხელები გაშალა.

— რა ქენი, სცადე საღებავით ხატვა? — ჰკითხა კაცმა.

— დიახ, — თავი ასწია ბიჭმა. სახე გაუნათდა.

— მერე? გამოგივიდა რამე?

— რა ვიცი.

— გვაჩვენე. ხომ შეიძლება? — გადახედა კაცმა ბენო მასწავლებელს.

— კი ბატონო! წამობრძანდით! — უთხრა ბენო მასწავლებელმა.

ოთახის კარი ბიჭმა გააღო. კაცი, რომელსაც გზა დაუთმეს და პირველი შევიდა შიგ, სახტად დარჩა. კედელზე ბავშვურად გულუბრყვილო, მშვენიერი ნახატი ეკიდა. გულისმომწყვლელი განწყობა დაეუფლა. ეს განწყობა კისერგადაჭდობილი ცხენების სევდანარევი, უტყვი სიყვარულით აღსავსე თვალებიდან მოდიოდა.

— ლუკა, ეს შენ დახატე? — იკითხა ძია ბენომ. — სათვალე მოიხსნა და ნახატს მიაჩერდა.

— დიახ, — თქვა ბიჭმა.

— კარგია! — ჩაილაპარაკა კაცმა.

— მეც მომწონს, — უთხრა ლუკას ძია ბენომ და მაგიდას დახედა.

— ესეც შენ დახატე?

— დიახ.

— კი მაგრამ, ამ ცხენს კუდი და ფაფარი არ უნდოდა?

— ჯერ არ დამიმთავრებია, — თქვა ბიჭმა.

კაცმა მაგიდაზე დადებულ ნახატს დახედა, უკუდო და უფაფრო ცხენზე კბილებამდე იარაღში ჩამჯდარი ბიჭი ამხედრებულიყო. სასაცილოდ გამოიყურებოდა.

— ყოჩაღ, ლუკა! — ღიმილით თქვა კაცმა და ისევ კედელზე გაკრულ სურათს მიაჩერდა.

— რით აღვნიშნოთ ახლა ამ კაცის მხატვრობა? — იკითხა ბენო მასწავლებელმა.

— თუ ნებას მომცემთ, გავასეირნებ... — თქვა კაცმა. — წამოხვალ, ლუკა?

— შეიძლება, ბენო მასწ...? — დაეკითხა ბიჭი.

ძია ბენომ თავი დაუქნია.

ისინი უკვე ფუნიკულიორის პლატოზე მიმავალი ტრამვაის ვაგონში ისხდნენ. ტრამვაი ნელ-ნელა მიიწევდა ზევით და ქალაქიც ნელ-ნელა იზრდებოდა მათ თვალწინ. ბიჭს არასოდეს დაეხედა ქალაქისათვის ზემოდან და ახლა კაცის მკლავქვეშ გატრუნული, გაფაციცებით გაჰყურებდა ქალაქის ახალ-ახალ სივრცეებს, თითქოს მიწიდან რომ ამოდიოდა.

„რამოდენა ყოფილა ეს ქალაქი. აი, თურმე როგორი ყოფილა. ნეტავ ბაჭიაც აქა მყავდეს, თავისი თვალით რომ დაენახა. რატომ არ ვუთხარი! კარგი კაცი ჩანს, რომ მეთქვა, ალბათ უარს არ მეტყოდა“, — ფიქრობდა ბიჭი.

„ვისი სისხლი და ხორცი ხარ, პატარა კაცო?... ნეტავ ერთი მაცოდინა, რამ აიძულა შენი მშობელი მიეტოვებინე ბედის ანაბარა? იქნებ არცა გყავს ცოცხალი? ალბათ ასეა, თორემ გული როგორ მოუსვენებდა?“ — ფიქრობდა კაცი.

მთელი ორი საათი დაყვეს პლატოზე. კაცმა ბიჭი ყვე-



— სამუდამოდ? — შეცბა ბიჭი. — ესე იგი თქვენ მე...

— ჰო... ჰო... — უთხრა კაცმა. — რას იტყვი?

— მერე აქედან გამიშვებენ? — უცებ კითხვა დაებადა ბიჭს.

— გაგიშვებენ, რატომაც არ გაგიშვებენ?!

— მერე მე... აქ აღარ ვისწავლი?

— ეგ შენს სურვილზე იქნება დამოკიდებული, — უთხრა კაცმა... — წამოხვალ?

ლვან მოატარა, ყველა გასართობსა და სიამოვნებას აზიარა... ეჯიბრებოდა ტირში თოფით სროლაში, მასთან ერთად შეექცეოდა ნაყინს...

როცა უკვე ჩამოღამდა, ისევ ჩასხდნენ ტრამვაის ვაგო[illegible] ქალაქისაკენ დაეშვნენ. უზარმაზარი ქალაქი სინათლეებით გაჩირაღდნებულიყო. ბიჭი იშვიათ სანახაობას გადაჰყურებდა.

მანქანა ინტერნატის შენობასთან გაჩერდა.

— მოვედით! — თქვა კაცმა. — კმაყოფილი ხარ დღევანდელი დღით?

— ძალიან, — გულით მიუგო ბიჭმა. — დღევანდელი დღე არასოდეს დამავიწყდება. მადლობელი ვარ.

— გაიზარდე დიდი კაცი, — უთხრა კაცმა.

— ნახვამდის, — თქვა ბიჭმა და მანქანის კარის სახელურს ხელი ჰკიდა.

— მოიცა, — შეაჩერა კაცმა. — გეჩქარება?

— არა, არ მეჩქარება, — შემოხედა ბიჭმა.

— ლუკა... მშობელი თუ გახსოვს?

— არა... არ მახსოვს... — უპასუხა ბიჭმა.

— სრულებით არა?

— არანაირად, — უთხრა ბიჭმა და მიაჩერდა.

— ლუკა, შენ პატარა ბიჭი აღარა ხარ... და უნდა გესმოდეს უკვე, რომ... მარტო კაცის ცხოვრება... ძნელია ქვეყანაზე...

— მე მარტო არა ვარ, — თქვა ბიჭმა თავდაჯერებით.

— აბა ვინა გყავს?

— მეგობრები!

— ღმერთმა ნუ მოგიშალოს მეგობრების თავი, მაგრამ... ყველას სჭირდება ამ ქვეყნად მშობელი, ნათესავი, მახლობელი, მით უმეტეს ბავშვებს... — კაცს ხმაში მღელვარება შეეპარა. — ჰოდა, იცი, რა ვიფიქრე, ბიჭო? გადმოდი ჩემთან საცხოვრებლად.

ბიჭს გული გადაუქანდა. პირი გაუშრა და თვალის უპეები აეწვა. გაშტერებული შეჰყურებდა კაცს.

— გესმის, რა გითხარი? — ჩაეკითხა კაცი.

— სად? როგორ? — ნერწყვის გადაყლაპვა ძლივს მოახერხა ბიჭმა.

— ჩემთან, სამუდამოდ...

— თქვენ რა, შვილები არა გყავთ? — ჰკითხა ბიჭმა.

— არა მყავს და საქმეც მაგაშია, — უპასუხა კაცმა. — მეც მინდა მყავდეს შვილი.

ბიჭი იჯდა და ფიქრობდა.

— რას აპირებ? — შეაწყვეტინა ფიქრი კაცმა.

— არ ვიცი, — უთხრა ბიჭმა. — თავი არ მუშაობს.

— კარგი, დაფიქრდი, — უთხრა კაცმა. — თუ გინდა, უფროსებსაც დაეკითხე... დრო ბევრი გაქვს... ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს... ახლა კი წადი.

— ნახვამდის, — თქვა ბიჭმა, მანქანიდან გადავიდა და შენობაში გაუჩინარდა.

ელექტროზარის ხმაზე კარი ქალმა გააღო. კარის ზღურბლზე ბიჭი და კაცი იდგნენ. ბიჭს ჩემოდანი ეჭირა.

— შეიძლება? — იკითხა კაცმა.

— მობრძანდით, — თქვა ქალმა.

ბიჭი ქეჩაზე გულდაგულ მოჰყვა ფეხების წმენდას.

— შემოდი, შემოდი! — უთხრა ქალმა.

ისინი უკვე ოთახში იდგნენ. ბიჭი ერთი ნაბიჯის შემდეგ შედგა და ორივე ხელით ჩემოდანი წინ აიფარა.

— აი, ეს არის ჩვენი ლუკა. ხომ გახსოვს?.. — მიმართა კაცმა ქალს.

— როგორ არ მახსოვს? გამარჯობა, ლუკა, — ქალმა ხელი გაუწოდა. ბიჭმა მორცხვად შეაგება ხელი.

— მე ნაილი მქვია, შენც ასე დამიძახე.

— ეს ჩვენი სახლია... — უთხრა კაცმა. — მოდი, გაშინაურდი.

ძველი გობელენი, უცნაური ფიგურებით დაქარგული ხალიჩა, რბილი სავარძლები, ოვალური მაგიდა, შანდლებიანი პიანინო, ტორშერი, მარმარილოს ქანდაკება მოკრძალების გრძნობას ბადებდნენ ბიჭის არსებაში.

ბიჭმა კედელზე დაკიდულ ნახატებს შეავლო თვალი. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ჩემოდანი ფრთხილად დაუშვა ძირს. მოლბერტზე ჩამოდებული ნახატი რომ დაინახა, ღიმილმა სახე გაუნათა.

— იცანი? — ჰკითხა კაცმა.

ბიჭმა თავი დაუქნია.

— აბა, ახლა შენი ნახატები გვაჩვენე, — უთხრა კაცმა.

ბიჭმა ჩემოდანი გახსნა და იქიდან ნახატი ამოიღო, კედელთან მიდგმულ დივანზე მიაყუდა.

— ეს ლუკას ნახატია,—თქვა კაცმა ქალის გასაგონად.— თავის მეგობარს აჩუქა, მაგრამ დროებით წამოვიღეთ, რომ შენთვის გვეჩვენებინა.

— როგორ, შენ ხატავ კიდეც? — თქვა ქალმა ისე, ნახატისთვის თვალი არ მოუცილებია. — რატომ აქამდე არ მითხარი? — მიუბრუნდა კაცს.

— ეს ლუკას პირველი ნახატია, — თქვა კაცმა.

— მშვენიერი ნახატი გამოგსვლია, — შეაქო და გაუღიმა ქალმა.

ბიჭს ესიამოვნა და თვითონაც გაუღიმა.

— ერთ დღეში დახატა, გესმის, ნაილი? თანაც ორი სურათი.

— დაუჯერებელი ამბავია, — თქვა ქალმა.

ბიჭმა ჩემოდნიდან მეორე ნახატიც ამოიღო და პირველის გვერდით მიაყუდა.

— უი, ღმერთო, რა კარგია! — სიცილით თქვა ქალმა. — ვინ არის ეს ბიჭი?

— ჩემი მეგობარია, — თქვა ლუკამ.

— რა სასაცილო ბიჭია! ცხოვრებაშიც ასეთი სასაცილოა?

— არც ისე, — უპასუხა ლუკამ. — დახატვა კი გამიჭირდა.

— ადამიანის ხატვა იოლი არ არის, — თქვა კაცმა. — თანდათან მაგასაც შეისწავლი...

ბიჭი მეორე ოთახში გაიყვანეს. პატარა, სუფთა და ნათელი ოთახი იყო.

— ამ საწოლში დაიძინებ, ამ კარადაში ტანსაცმელს დაკიდებ. ეს შენი ტანსაცმელია. ამ უჯრაში თეთრეული აწყვია. აქ ჩუსტები ალაგია, — სათითაოდ ჩამოუთვალა ქალმა.

ბიჭი არ მოელოდა ამდაგვარ ამბავს. ცოტა თავბრუ დაეხვა. ჩემოდანი იატაკზე დადგა და ტახტზე ჩამოჯდა. თვალი სკამზე გადაკიდებულ ჯინსის შარვალ-ხალათისაკენ გაეპარა.

— ახლა კი, ჩემო ლუკა, ეგ ტანსაცმელი გაიხადე და აბაზანაში შედი, — უთხრა ქალმა.



— აბა, ცოცხლად! — შესძახა კაცმა და ბიჭი ხელში აიტაცა.

ბიჭმა ჭერში ამოჰყო თავი. ახლა ზემოდან დაჰყურებდა მომღიმარ ცოლ-ქმარს. კაცმა ფრთხილად დაუშვა ძირს, მკლავი კისერზე მოხვია და ოთახიდან გაიყვანა.

ნახევარი საათის შემდეგ ბიჭი გაბროლილი გამოვიდა აბაზანიდან და ახალი ტანსაცმელი მოირგო.

პირველად, ცოტა არ იყოს, ეხამუშა, ერთი წუთით ეჭვიც კი შეეპარა, ნამდვილად თვითონ იყო თუ არა. შამპუნისაგან დარბილებულ თმას სარკეში ივარცხნიდა და ცდილობდა, უცხო თვალით შეეფასებინა საკუთარი თავი. მერე სუფრასთან დასხდნენ. ბიჭი უფროსებს შეჰყურებდა. ცდილობდა, თვითონაც მათნაირად მოქცეულიყო.

შემდეგ ლუკა რბილ სავარძელში იჯდა და ფერად ტელევიზორს უყურებდა.

გასართობი პროგრამა რომ დასრულდა, კაცმა უცებ ჰკითხა:

— იმ ბიჭებს რას უპირებ?

— რომელ ბიჭებს? — ვერ მიუხვდა ლუკა.

— რიყეზე რომ გაგასილაქეს, — დააზუსტა კაცმა.

— რა უნდა დაუპიროს, უცნაური ხარ! — შეესიტყვა ქალი.

— გინდა, მოვძებნოთ და ყურები დავაგლიჯოთ? — ჰკითხა კაცმა.

ბიჭი დაფიქრდა.

— არა, არ მინდა.

— რატომ? რომ გცემეს?

— ჩემი ბრალიც იყო... პირველად მე გავიწიე...

— რამდენნი იყვნენ?

— ხუთნი.

— მერედა, ხუთ ბიჭს, რას ფიქრობდი, მოერეოდი?

— გამამწარეს და რა მექნა? — თქვა ბიჭმა.

— მაშ არ გინდა, ჭკუა ვასწავლოთ? — ჰკითხა კაცმა.

— გადაირიე, გოგი? ჭკუა თვითონ უნდა ისწავლოს! — უთხრა ქალმა.

— კარგი. აბა, დაიძინე, — თქვა კაცმა და მისი ოთახისკენ წაუძღვა.

— ძილი ნებისა, — ქალმა შუქი ჩააქრო.

ბიჭი გულაღმა იწვა და გარედან შემოსული სინათლის ზოლით განათებულ ჭერს გაშტერებული შესჩერე-

ბოდა. მის თვალში სიზმარს ჰგავდა ყოველივე, რაც თავს გადახდა. ამიტომ იწვა ჯერაც გაოგნებული და რული არ ეკარებოდა. სიმარტოვეს არ იყო მიჩვეული და გონება ძალაუნებურად ტოლ-მეგობრებისკენ გაურბოდა. სათითაოდ დაუდგა თვალწინ ყველა მათგანი. ახლა ისინი შორს იყვნენ და უფრო ძვირფასები ჩანდნენ. შემდეგ ბიჭს საკუთარი თავიც დაუდგა თვალწინ, — როგორ დასდევდა ბიჭებთან ერთად ბურთს ეზოში, ერთი დარტყმით როგორ დასვა აყლაყუდა ფიდო, როგორ დასრიალებდა მოაჯირებზე სართულიდან სართულზე, როგორ უწრუპუნებდა და უსტვენდა სახურავზე გასულ მტრედებს. მერე ისიც გაახსენდა, როგორ გამოემშვიდობა თავისიანებს და თვალწინ ბაჭია და აჩიკო გამოეცხადნენ შეცბუნებული სახეებით.

— მიდიხარ, ლუკა? — ჰკითხა აჩიკომ.

— აღარ დაბრუნდები? — ეკითხებოდა ნირწამხდარი ბაჭია.

— ნახვამდის, ლუკა, არ დაგვივიწყო, — ეუბნებოდა აჩიკო.

— არ დაგივიწყებთ, — უთხრა ლუკამ.

— წადი, ლუკა, წადი... — თითებს იმტვრევდა ბაჭია.

— ასე აჯობებს. წადი, — უთხრა ძია ბენომაც.

ბიჭმა გვერდი იცვალა, მაგრამ ძილი არა და არ მოდიოდა.

მეორე ოთახში ცოლ-ქმარი იწვა. არც იმათ ეძინათ.

— კარგი ბიჭი ჩანს... უფრო და უფრო მომწონს, — ამბობდა ქალი.

...ბიჭს თავი დაუმძიმდა და, როგორც იქნა, ჩათვლიმა. „ლუკა, აქ რა გინდა? შენი ადგილი ვითომ აქ არის?“ — გამოეცხადა ძველ ტანსაცმელში გამოწყობილი ლუკა.

„რატომაც არა! ვერა ხედავ, როგორ მზრუნველობით მეპყრობიან?!“

„მოგწონს აქაურობა?“

„მომწონს“.

„ეს ხალხიც მოგწონს ალბათ, რადგან ფუფუნებაში შედგი ფეხი, არა?“

„ფუფუნებაში? არა! მაგიტომ არა!“

„მაშ რატომ?“

„მეც მინდა მყავდეს... მშობლები...“

„ჰო, მაგრამ, ეგენი შენი მშობლები რომ არ არიან?!“

„მერე რა? ხომ ხედავ, როგორ ცდილობენ!“

„ეგ მართალია, მაგრამ შენი ადგილი მაინც იქ არის“.

„სად?“

„იქ, სადაც აქამდე იზრდებოდი, შენს ტოლ-მეგობრებთან“.

ლუკა ელდანაკრავივით წამოიჭრა ლოგინიდან. ფანჯარას ეცა, გარინდულ ქუჩას მიაპყრო თვალი. ჯერ წესიერად არც კი გათენებულიყო, ძეხორციელი არავინ ჩანდა.

ლუკას სევდიანი საყვირის ხმა ჩაესმა, ჯერ შორეულ ექოდ, მერე კი ექო განმეორდა და მოწოდების ხმად აჟღერდა. ძველი ტანსაცმელი გამოძებნა და გადაიცვა. შემდეგ ჩემოდანში საკუთარი ნივთები ჩაალაგა. ფრთხილად გამოვიდა ოთახიდან. სასტუმრო ოთახში მოლბერტზე ჩამოდგმულ პორტრეტზე რაღაც წააწერა. ერთხელ კიდევ მოავლო თვალი იქაურობას, კარი გააღო და სახლიდან ფეხაკრეფით გავიდა.



დილით ცოლ-ქმარს გაეღვიძათ თუ არა, ბიჭის საძინებელ ოთახს მიაშურეს... ბიჭი არ იყო. მისთვის შეძენილი ტანსაცმელი და ყველა ნივთი თავ-თავის ადგილას იდო. ბიჭს თავისი ნახატებიც დაეტოვებინა. ბოლოს სასტუმრო ოთახში ბიჭის პორტრეტზე მინაწერი ნახეს. იდგნენ მხრებჩამოყრილნი და უხმოდ კითხულობდნენ: „ბაჭიას ვერ ვუღალატებ, მასაც ჩემსავით არავინ არ ჰყავს. ვერ მივატოვებ. მაპატიეთ. ლუკა“.

— აი, თურმე რა ბიჭი ყოფილა... — ლოცვასავით ჩურჩულით წარმოსთქვა ქალმა.

ბიჭი კი ჩემოდნით ხელში ინტერნატისკენ მიაბიჯებდა. ქალაქს საყვირის გაბმული ხმა ეფინებოდა.





# ერეკლესაგან სამასი არაგველის დატირება

გიორგი წერეთელი

მხატვარი
ზურაბ ფორჩხიძე

(გადმოცემით, კრწანისში ალა მაჰმად-ხანის ურდოსთან დამარცხების შემდეგ ერეკლე მეფე ხევსურეთში ავიდა და ბრძოლის ველზე გმირულად დაცემული სამასი არაგველის დედებს სამძიმარი უთხრა).

მტრისაგან აუღებელი,
აქ დგას ათასი ლურჯი მთა,
ცაში აწვდილა წალკოტი
ციხე-კოშკების ბურჯითა,
თეთრი ცხვრის მძივით მორთული,
სალაღობელი შუნ-ჯიხვთა,
დადიან მონადირენი
ზედ წრიაპების ბლუჯვითა,
თოვლი ჰკიდიათ ზაფხულშიც
მსგავსი უთეთრეს ხურჯინთა,
ჰკიდიათ თეთრი ჩანჩქერი,
ნახატი თოვლის ფუნჯითა,
თავს ახვევიათ ნისლები,
შიგ მზე სხივს უყრის მუჭითა,
აქ მაცხოვრებელ ხევსურ კაცს
თვალი და ჭკუა უჭრიდა,
ბარი თავს მთას აფარებდა,
როდესაც მამულს უჭირდა.
შემოხიზვნია ერეკლე, —
უფარებია კუშტი მთა,
დამუქრებია აქედან
მტერს ციხე-კოშკის მუშტითა.
თვითონ სწვევია სამძიმრით
სამასი გმირის დედათა,
რომ დასტიროდნენ შავ ჩოხებს,
ვით ხელდაკრეფილ ცხედარსა.
არაგვის პირას ესვენა
სამასი ჩოხა გაშლილი,
ქმარ-შვილს ტიროდნენ ქალები,
არსად არ სჩანდა ქმარ-შვილი.
ომში დაეცნენ გმირულად, —
ქართლს შეეწირნენ ზვარაკად,
არაგვეთს ცრემლი სდიოდა
ბაზალეთად და არაგვად...

უბრძანებია ერეკლეს
უზენაესი მადლითა:
— გიწრთვნიათ ლომის ბოკვერნი
მშიერი მგლების მადითა;
სამასი ლომის დედა ხართ,
მომრევი ყველა ნადირთა,
ხართ უდიდესი დედანი,
ნუ დაილევით დარდითა,
ცრემლს ვერ აგიწყავთ საწყავით,
დარდს ვინ გაზომავს ადლითა,

ქართლში დედობას ზომავენ
მხოლოდ შვილებით კარგითა;
მტკვარი შეღებეს მტრის სისხლით,
გვამის მთა დადგეს ნაპირთან,
წამოეშველა არაგვი,
მტკვარმა კრწანისი განტვირთა,
დედების შემგინებელთა
დედები მათგან ატირდა,
თბილისის კართან დაეცნენ
მისი სიცოცხლის ნატვრითა.

როდესაც დედა ვერ დედობს,
დედაბუნება ბერდება:
ბილიკს ბალახი მიუდის,
კიბეებს ხავსი ედება;
სამშობლო სიკვდილს ოდითგან
გადაარჩინეთ დედებმა.

ერის სიცოცხლის დედა ხართ,
დებო — ნინო და ქეთევან...
თქვენი შვილების სახელი
სამშობლოს სანთლად ენთება;
ერისთვის თავის დადება —
ეს უკვდავებას ედრება,
უკვდავზე ცრემლის დენანი
არის სიცოცხლის ყვედრება,
აღარ იტიროთ, დედებო,
მიიღეთ ჩემი ვედრება!..

სამასი დედის ქალ-რძალი
ემთხვევა მეფის კალთასა,
ყველამ თავისი შვილები
დაულოცა და გადასცა,
სამასი ლომის ბოკვერი
ერთი უდრიდა ათასსა...
— ასეთი ლომისტანები
მტერს დაუბნელებს ავ თვალსა,
მალე მოვლიან რუსებიც,
გადმოივლიან ცხრა მთასა,
მტერს თბილ თბილისში
ჩრდილონი
თავს დაატეხენ ზამთარსა!

ეს რომ აუწყეს მაჰმად-ხანს,
მყისვე გასცლია თბილისსა,
შეშინებია სამასი
ლომის ბოკვერის კბილისა,
და უფრო გარიდებია
მთებიდან „ურას“ ყივილსა.

რომ ჩაუვლიათ კრწანისთან,
სმენიათ ომის ნახმევი,
მაშინ გახსნიათ ჭრილობა —
სამასი ლომის ნახმლევი,
წასულან მოუბრუნებლად
ლომებს დაუფრთხნენ ძაღლები.

მტკვარი შეივსო არაგვის
ტალღებით, უფრო ახლებით,
ქართლი აივსო არაგვის
ქვიშით ნაგები სახლებით,
მტკვარი შემოდის თბილისში
ორი არაგვის თანხლებით.



# შურისმაძიებელი კურდღელი

ოთია იოსელიანი

მხატვარი ედ. ამბოკაძე

ზღაპარი

ეს, ზღაპრად გაუგონარი, შურისმაძიებელი კურდღელიც ჩვეულებრივ, ბუჩქის ძირას გათხრილ სოროში დაიბადა. თუ გგონიათ, გამოირჩეოდა და-ძმებისაგან, დედ-მამისაგან და სხვა კურდღლებისაგან! ისეთივე ციდა ყურები, გოჯა კუდი და მოკლე წინა ფეხები ჰქონდა; ისევე მშიშარა იყო და ელამი, როგორც მისი გვარი და ჯილაგი.

ჯერ კიდევ თოთო და შეუმოსავი ბაჭია იყო, რომ მგელმა მამა შეუჭამა, მაგრამ სანამ თვალცრემლიანი დედა კიდევ ჰყავდა, ობლობის სიმწარე და სიდუხჭირე ისე არ უგრძვნია. ის-ის იყო შეიბუმბლა და შეიმოსა, რომ ერთ საღამოს დედა სოროში აღარ დაბრუნდა. ის ღამე დაძმებმა ჭყრიპინით და მოთქმით გაათენეს. დილით წავიდნენ საძებრად და დედის ნასისხლარს რომ გადაეყარნენ, აწიოკდნენ. მგელს იქვე სძინებოდა, გაბურდულ ძიგვებში, გაეღვიძა, გადმოხტა და ერთი ძმა იქვე სხვების თვალწინ გადასანსლა. „ვაის“ „უი“ დაემატა.

დაზაფრულებმა ისევ სოროს შეაფარეს თავი, მაგრამ თვალატირებულები და დამშეულები სანამდე იქნებოდნენ, რაღაცა ბალახი ხომ მაინც უნდა გაეწიწკნათ. და იმ ვერაგმაც ხან დაია გამოაცალა ხელიდან და ხან ისევ ძამია.

შვიდი დედმამიშვილიდან, მუდამ შიშსა და უბედურებაში, თვითონ როგორღაც გადარჩა და წამოიზარდა, მაგრამ რომ გითხრათ, რაღაც ახოვანი და გადასარევი ვინმე დადგა-მეთქი, არ იქნება მართალი. იყო, ისე რა, თვალი რომ დაედგმებოდა და მეტი არა.

სიყვარული, როგორც ადამიანებში, ისე ცხოველებში, მხოლოდ რჩეულთა და სვებედნიერთა ხვედრი როდია. და ერთ მშვენიერ დღეს ამ ჩვენს შეღერებულ კურდღელს ჭკუის დასაკარგავად შეუყვარდა ორი მდელოს გადაღმა (უფრო ტყის სიღრმისაკენ) კვრინჩხისძირა სოროში მცხოვრები კურდღლების ქალიშვილი.

თვალში თუ მანამდე არ გამოიხედე, როცა შეგიყვარდება, მერე იმას თვალებიც სხვაზე უკეთესი აქვს, ყურებიც, ქათიბი ხომ, კურდღელიც რომ იყოს, წავისას სჯობს და კუდი — მელიისას.

ერთი სიტყვით, მეშვიდე თუ მეცხრე ცაზე რომ იყო ეს ჩვენი საწყა-

ლი მარტოხელა ტროფიალი, ეშმაკმა ნუ იცის მგლის თავი, გადაყროდა ამ ჩვენს სადედოფლოდ ყელშელერებულ მშვენიერ არსებას, პაემანზე რომ მიდიოდა, გამოეგდო წინ, იმდენი ურბენინებია, ნაღველა ჩაუქცევინებია, გაუფატრა და ძვლებიანად ჩაენთქა, როგორც ერთი ვინმე ჩვეულებრივი მსხვერპლი.

ელოდა, ელოდა სასიძო (ნეკერჩხლის ჩრდილში ჰქონდათ დათქმული შეხვედრა), სადღაა სატრფო. არადა, არ ყოფილა შემთხვევა, ხუთ წუთზე მეტი დაეგვიანოს. ამასაც ისე, მოკრძალების გამო სჩადიოდა, თორემ ერთი სული ჰქონდა, ხან ამ ხის, ხან იმ ბუჩქის ძირას გულის სწორს შეყროდა. ერთი საათი ლოდინი, ისიც პაემანზე, როცა ტყე სავსეა მგლებით, ტურებით და მელაკუდებით, კი მოგეხსენებათ, რას ნიშნავს.

„ხომ არავინ დამღუპაო“, — ეს კი გაიფიქრა, მაგრამ სატრფო ფიქრშიც ვერ გაიმეტა სიავისა და ბოროტების სამსხვერპლოდ და რაღა ჩარა იყო, გზას დაადგა. მის ნაკვალევს ათასი და ათი ათასი კურდღლის ნაკვალევში არჩევდა. როგორ და რანაირად, ამის გადმოცემა ძნელია. ამისათვის, ჯერ ერთი, კურდღელი უნდა იყო, მეორეც — უსაზღვროდ შეყვარებული.

მიდის, მაგრამ სასიმამროს სოროსთან გამოჩენას კი ვერ ბედავს. თუ აქეთ წამოვიდა, ნაკვალევს იპოვის და მერე, საით ქნა პირი, იოლი დასადგენია.

ჩვენს მტერს და ორგულს, მან სანახავი ნახა, და ჩვენს მოსისხლეს აშოროს ღმერთმა, მას თავზარი დაეცა. მისი თვალისჩინის კვალს მგლის კვალი მისდევს. რაღა თქმა უნდა, იქვე დაენარცხა მდელოზე და, ალბათ, ვერც ადგებოდა, რომ არ ეაზრა, იქნებ ჯერ კიდევ ცოცხალიაო, და ისკუპა. ისკუპა და ისე შორს გადახტა, მთლად ასცდა ნაკვალევს. იპოვა ისევ და გაჰყვა. ვინ დაგიდევს ბუჩქს, ეკალს და მაყვალს, ქაცვს და კუნელს. მთლად გაიყვლიფა ბეწვისაგან და დაიკაწრა ცხვირ-პირი, მაგრამ მანამდე რომ დავსებოდა თვალები, კარგი იყო.

ხედავს, რას ხედავს! მისი სატრფოს წავისაზე მშვენიერი ქათიბქარს ჩირგვნარში გაუფანტავს და იმ გაუმაძღარს ისე ჩაუთქვლეფია მისი გულის სწორი, სისხლიც კი აულოკია.

ე, მაშინ იყო, რომ ამდენ ზაფრაზე და ბოღმაზე გადაუბრუნდა ჭკუა-გონება, გაუქვავდა გული, აუდუღდა სისხლი და დაჰკარგა შიშის გრძნობა. აღარც შიში, აღარც რიდი, აღარც წარსული, აღარც მომავალი... არადა, კურდღელს თუ შიში არა გაქვს, რაღაის კურდღელი ხარ?!

ჯერ ხომ ეგდო და ეგდო მეხდაცემული, მგონი, მთელი დღე-ღამე თვალი არ გაუხელია. შემჭამს, ან მომიტაცებს ვინმე, ან რაიმე მომეწევაო, ერთხელაც კი არ მოგონებია. იღვრებოდა ცრემლად, ბალახსა და ყვავილებს ძირები დაუმდუღრა.

წამოდგა მეორე დილას და თქვა:

— მგლებზე შურს ვიძიებო!

კურდღლისაგან ამის თქმა არაა იოლი, შესრულებაზე რომ არაფერი ვთქვათ. ისე გადაწყვეტილად, ბოღმით და ბრაზით დაიქადა, უნდა გერწმუნათ. „მგელზეო“ კი არა, „მგლებზეო“. ამ დედამიწის მრისხანე მტაცებელთა მოდგმას მარტოდმარტო დაუპირისპირდა. „უნდა გავათავისუფლო კურდღლები ამ ავაზაკის ჯილაგისაგანო“.

— სისხლი სისხლის წილ!.. სისხლი სისხლის წილ! — იჯღავლა (ხმაც აღარ უგავდა კურდღლის წრიპინს) და ამდენ ხანს მგლის ნაკვალევს რომ გადაეყრებოდა და თვალებს ითხრიდა, ახლა, პირიქით, ცოფმორეული გაეკიდა.

მგელი კურდღელივით არ იმალება, მგლის კვალზე მიყოლა და მისი პოვნა ძნელი არაა. მერე რას აპირებ, თუ არა კი, ბოღმა, შურისძიება და სიმართლე შენს მხარეზეა, ეს დიდი ძალაა, მაგრამ მგელს აქვს ბასრი კბილები, აქვს მგლის მუხლი და ვერც სიგრძეში გასწვდები და ვერც სიგანეში. უშიშარი გული და დათვის ღონე მაინც გინდა.

მაგრამ...

მაგრამ თუ მგელს აქვს გაშეშებული კისერი, რაც ამქვეყნად ყველამ იცის და არავის მგლის ეს სისუსტე მის წინააღმდეგ არ გამოუყენებია, თუ გამბედაობა გეყოფა და ამ ვერაგს ზურგზე მოექცევი, რაც, უშიშარი გული მითხარი შენ, თორემ ძნელი სულ არ არის (მგლის სიმაღლეზე ახტომას რა უნდა), თან არც ფრთხილობს ის ავაზაკი, ამას არასდროს ელოდება, მერე თუ ფრჩხილით და კბილით მაგრად ჩააფრინდები, ძირს რომ ვერ გადმოგაგდოს, ხერხემალიც რომ გადაუღრღნა, თავს ვერ მოიბრუნებს და კბილს ვერ მოგაწვდენს.

ამ ჩვენს შიშდაკარგულ, გაბოროტებულ, შურისმაძიებელ კურდღელს, თვით ლომის წინაშეც რომ წარბს არ შეხრიდა, მგლის ზურგზე შეხტომა და თათებით და ბრჭყალებით ჩაფრენა არ გაუჭირდებოდა, ვერც ცოცხალი თავით მოაშორებდა რაიმე, მაგრამ ტყავის ხევას და სისხლის სმას როგორ შესძლებდა თავისი სტაფილოსა და კომბოსტოს საღრღნელი კბილებით, საკითხავი ეს იყო. არ შემოახევ ტყავს, არ დაჭამ და თვითონ დაგბდღვნის და შეგახრამუნებს, როგორც შენი მამით, დედით, დედმამიშვილებით და სატრფოთი ჩაიკოკლოზინა პირი.

კურდღელი ემალება მგელს და უჭირს მტაცებელს პოვნა, თორემ მგელი არხეინია. აგერ არ მიდგომია ეს!..

არავითარი შიში! უჭოჭმანოდ, როგორც ვეება, რუხ კომბოსტოს, ისე მოიქცა ქეჩოში შურისმაძიებელი და ჩააფრინდა, მაგრამ რა ჩააფრინდა!..

ეჰეე!.. ავაზაკი ასეთ რამეს ნაჩვევი არაა. ცხვარი რომ ყოველწუთს [illegible]ება ეგეთებს, ამაზე ისიც გაცხარდება. შენ ახტები, მგელს ზურგზე მოექცევი და ხერხემალს სადგისებივით ბასრი კბილებით გამალებული უღრღნი, თავზარი დაეცემა და შეიშლება, აბა, რა მოუვა.

ავარდა და დავარდა, მაგრამ თავი ვერ მოუბრუნებია, რომ გაიგოს, ავაზა ჩააფრინდა ზურგში თუ არწივი. შიშის თვისება გაქცევაა, ეს გაქცევა გშველის თუ არ გშველის, დაგღუპავს თუ გადაგარჩენს, ქე კი გარბიხარ და!..

იშვირა თავზარდაცემულმა მგელმა თავისი მართლა მაგარი ფეხი და მოუსვა.

სირბილი და ძუნძული კი, კაი მოგეცა, მაგრამ გიშველის? გშორდება? გამოწიწკნა ტყავი და ისე გამალებული უღრღნის ხორცს, მალე ხერხემალს მისწვდება. მგელს ტყავი როგორ არ გახევია და არ ტკენია, მაგრამ ზურგს ასე რომ გიღრღნის, გიხრავს და გჭამს? ტკივილი — ტკივილს გააჩნია. თვალებიდან და ყურებიდანაც სისხლი წვეთავს, ჰგონია. არადა, ასე ძალუმად მის სიცოცხლეში არ გაქცეულა და ტყავზე რა ჯანდაბა დაეწება და დაეკრა, თუ ეს ავი სული ან ჭინკა არაა.

ზურგის მალებში რომ ბასრი მახათები ჩაერჭო, მაშინ იყო, რომ მგელს მუხლი მოეკვეთა — ხერხემალს გადამიხსნის და ჩემი საქმეც გათავდებაო. დაეცა, რაღა თქმა უნდა, და აფართხალდა.

კურდღელი, რაც უნდა უშიშარი და თავგანწირული შურისმაძიებელი იყოს, მგლის კბილებს ვერ გამოიბამს და ძვალს, ისიც მგლის ძვალს, სტაფილოსავით ვერ დახრავს. მაგრამ მსხვერპლი რომ დაეცა, მერეც არ მოშორებია და ბარე ერთი ხელისდადება ტყავი მერეც შემოაღრღნა.

განწირულს, შავი ავაზა რომ მაინც ეგონა და წინ, უკანა ფეხებზე ნაცარა კურდღელი დაუდგა, ამან კიდევ უფრო გაუხეთქა გული და შეზარა. ზღაპრადაც არავის გაუგონია, კურდღელი მგელს კი არა, წრუწუნას დასხმოდეს თავს და თუნდაც ხოჭოსთვის კბილი გაეკრას.

— კურდღელში ავი სული ჩასახლებულა, მგლის აღსასრული დამდგარაო! — აცახცახდა და აკანკალდა დაზაფრული, ცურავს საკუთარი სისხლის გუბეში და ელის აღსასრულს.

ამის შემდეგ დღე არ გავიდოდა, რომ შურისმაძიებელი კურდღელი ერთ მგელს მაინც თავს არ დასხმოდა, ხერხემალზე ხელის დადება ტყავი მაინც არ გამოეღრღნა და მუხლმოკვეთილი მომაკვდავი არ დაეგდო. დაკოდილთაგან ყველა როდი გადარჩა, მით უმეტეს, ზაფხულში, — დაუჩირქდათ ზურგი, ესევიან ბუზები, კისერი გაშეშებული აქვთ, თავს ვერ იბრუნებენ, ენას ვერ უწვდენენ, რომ ჭრილობა მოირჩინონ.

ამყრალდა ტყე. ნადირის ყნოსვა, მოგეხსენებათ, ფაქიზია, იგუდება ყოველი ცოცხალი არსება.

რაშია საქმე, რა ხდება? ყველა დაზარალებული ამტკიცებს, რომ კურდღელში ჩასახლებულია ავაზა, ვეფხვი ან ლომი, ან თუ ეს ავი სულია, კიდევ უარესი. არ უნდა ლაპარაკი, სამგლეთი განწირულია. ეტყობა, კურდღლებს რო მუსრს ვავლებდით, იმიტომ ვისჯებით და შურისმაძიებელიც კურდღლად მოგვევლინა, რომ ვიცოდეთ, რა ცოდვისათვის ვიღუპებითო.

დადეს ფიცი და აღთქმა, ხელს აღარ ვახლებთ, ოღონდ თავი დაგვანებოსო. ასეც ქნეს, ან რომ არ ექნათ, ვიღას ჰქონდა კურდღლის დევნის თავი. გამოეკიდები და აქეთ რომ მოგახტეს და შემოგღრღნას ტყავი, რას აპირებ, როგორ! ჯერ არ უქნია, თუ!

ცანცარებს მტაცებლები რომ არ ერჩოდნენ, მომრავლდნენ, მოედნენ ტყეს და მდელოს, ღობე-ყორეს. მგლები რომ პირს არ აკარებდნენ, ტურები და მელიები გაბედავდნენ? საწყლები, უყურებდნენ აგერ, მათ თვალწინ მოკუნტრუშე ყურცქვიტებს და ყლაპავდნენ ნერწყვს.

კურდღლებს კაცი უბატონოდ ხმას ვეღარ სცემს, მაგრამ მგლების საშველი რომ არაა! ახალი და ახალი ზურგგადაღრღნილი ემატება დაწყლულებულ-დაშავებულებს. ტყე საავადმყოფოდ იქცა. აგერ ერთი ბუნაგში აგდია და ზმუის და ყმუის მომაკვდავი, აგერ მეორე, იქით მესამე და მეოთხე... არც აღთქმა შველით, არც ფიცი და მტკიცი.

— რა ხდება, რა ამბავია?!

— რა ვიღონოთ, რა გზას დავადგეთ?!.

— რატომ გაგვწირა ასე გამჩენმა?

— თუ მგლად არ ვუნდოდით, რატომ გაგვაჩინა!

— რაღაცა სხვა მიზეზია...

შეიკრიბნენ ეს დახეიბრებული მგლები და ბჭობენ, სჯიან, თათბირობენ... ვერაფერს გახდნენ.

ვიღაცამ თქვა: მოდი, ხროვად ვიაროთო!

ვიღაცამ: — ხროვა ჩვენ, შემოდგომის ბოლოს ვიცოდით, ამ ზაფხულში რა დროს ხროვააო.

— რომ ვიცოდით, ის სადღაა?! ერთმანეთს ნუ მოვშორდებით და ზურგზე რომ მტაცებელი დაგვახტება, მერე კურდღლად როგორ იქცევა, დავინახოთო.

— რომ ვუყუროთ, ეს გვიშველისო? — იკითხეს უფრო გულსუსტებმა.

— არა, მაგრამ იმას მაინც გავიგებთ, ბოლოს და ბოლოს, ავი სულია, ჭინკა თუ ქაჯი. ჯერჯერობით ისიც არ ვიცით, ვინ გვანადგურებს, კურდღლის მეტი არავის დაუნახავსო.

არადა, ავი კურდღელი ისეა შურისგებით შეპყრობილი, სვამს მგლების სისხლს და ვერ ძღება. დღეს არ უშვებს, რომელიმე არ მოიხელთოს და არ მიასიკვდილოს. ამ დაზაფრულ, დამშეულ მგლებს აღარც ის ძალა აქვთ, და მუხლი ხომ შიშით მაშინვე ეკეცებათ. აიშვა კურდღელმა თავი, აღარც ცოდვა ახსოვს, აღარც მადლი. გახდნენ მგლები იძულებული, და ამ გაგანია ზაფხულში შეიკრიბნენ და ხროვად დაიწყეს ძუნძული.

შურისმაძიებელი ყურცქვიტა არც ხროვას შეეპუა. აითვალთვალა, სალსალამათი თითო-ოროლა თუ იყო დარჩენილი, და ზურგზე რომ მოექცა და იყმუვლა გამწარებულმა, ხედავენ მგლები — რას ხედავენ?! კურდღელია!

ჯიქი, ავაზა, ვეფხვი კი არა, ლომიც რომ ყოფილიყო, ხროვა მიესეოდა და მათი ჯილაგის მოსისხარი მტერი ვერ გადაურჩებოდა, მაგრამ მგელს რომ კურდღელი დაახტება და ხერხემალს უღრღნის, ეს როგორ უნდა დაიჯერო, და რომ დაიჯერო, კიდევ უარესი. უყურებენ, როგორ ღეჭავს ეს სისხლისმსმელი მათ მოძმეს და ვერავინ ინძრევა. შიშით გაქცევაც კი ვერ მოახერხეს. ასე დღისით, მზისით მიასიკვდილა იმ პირსისხლიანმა და თავისი გზით წავიდა.

აზმუვლდნენ და აყმუვლდნენ გან-

წირულნი. ტყე ხროვის ზარმა გააყრუა.

ვის გინდა პასუხი მოსთხოვო! რაც თვალით დაინახეს — კურდღელი იყო. კურდღელი კი ამის ჩამდენი არაა. იტირეს, იბღავლეს, ითავცემეს და ბოლოს მაინც კურდღლებს მიადგნენ. კურდღელი იყო და დანაშაული კურდღელმა ზღოსო.

— ჩვენ თქვენ ხელს არ გახლებთ და თქვენ ჩვენს სისხლს სვამთო?

— ჩვენი დალეული სისხლი ვის გაუგონიაო?! — თავი იოლად იმართლეს ბრალდებულებმა.

— ჩვენც ასე გვეგონა, სანამ ჩვენი თვალით არ ვნახეთო.



— კურდღელი მგლის სისხლს სვამდეს, როდის ნახეთო?! — გაეცინათ კურდღლებს. მგლებს ხუმრობის გუნებაზე დამდგარან და ჩვენც რომ არ ავყვეთ, ჩვენი ჟლეტვა არ დაიწყონო.

— იქნებ ავი სულიცაა, მაგრამ კურდღლის ტყავშია გახვეული და თქვენ იოლად გამოარჩევთ. როგორც გინდათ, იპოვეთ და თქვენვე დასაჯეთო! — მგლებს რა ეხუმრებოდათ, დანა კბილს არ უხსნიდათ. თან შიშით გული უსკდებოდათ, ჩვენ რომ გადმოგვცენ, ისევ არ დაგვჭამოს, თუ დაგლეჯვაა, ბარემ კურდღლები დაგლიჯოს, მგლებს ჩვენი გაჭირვებაც გვეყოფაო.

კურდღლები საგონებელში ჩავარდნენ: თუ თქვენ ვერ გამკლავებიხართ, ჩვენ რას დავაკლებთო! მაგრამ მგლებს არაფრის გაგონება აღარ უნდოდათ.

— კურდღელია. კურდღლები ხართ და, როგორც გინდათ, ისე მოუარეთ, თორემ გაგავლეთ მუსრიო!

ცანცარებს ცას ხელი უწვდებოდათ, მტაცებლები რომ არ ერჩოდნენ, და ახლა თუ ეს მართალი იყო, რომ რომელიღაცა მათი მოძმის ტყავში გველეშაპი ჩასახლდა, მისი დანაშაულისათვის ამ საცოდავებს პასუხი რატომ უნდა ეგოთ?

— კი მაგრამ, როგორ გამოვიცნოთ, ეს მაინც გვითხარითო! — აწრიპინდა შეშფოთებული მშიშარათა მოდგმა.

—მგლის სისხლით რომელიც ყარს, ის იქნება. დღე არ გავა, რომელიმე ჩვენგანს ხელისდადება ტყავი მაინც არ აბდღვნასო.

ეს ჩვენი შურისმაძიებელი კურდღელი არც თავყრილობას ესწრება, არც გართობას და დროსტარებას. წავა, მტრის სისხლს დალევს, დაუგდება დარდიანი სოროში და ტირის მამას, დედას, და-ძმებს და სატრფოს. კიდევაც რომ იძახოს, მგლებს მუსრს ვავლებო, ვინ დაუჯერებს, ან რომ დაუჯერონ, სახელს და დიდებას რა თავში იხლის, როცა მის ბარობაზე არავინღაა.

კურდღლები, რაც მგლები პირს არ აკარებენ, ჭამენ, სვამენ, ატარებენ დროს და ვის ახსოვს დარდისაგან გულგამოჭმული მოძმე!

ჭირმა რომ ისევ კარზე მოუკაკუნათ, შიშმაც მოაკითხათ და შიშს, მოგეხსენებათ, დიდი თვალები აქვს. მიიხედ-მოიხედეს, მიიკითხ-მოიკითხეს, მიდგნენ-მოდგნენ და აღმოაჩინეს, რომ მათ თავდავიწყებაში და ღრეობაში ეს უთვისტომო კურდღელი არავის უნახავს. მგელს ვისი ახლობელი არ შეუხრამუნებია, მაგრამ დარდს არავინ გადაყოლია. ეს სადაა და რატომ სოროდან გარეთ არ იხედებაო? სხვა საეჭვო ვერავინ იპოვეს და ერთ დილით კარზე მიადგნენ. გამოხედა სოროდან ეულმა, მაშინვე ეცნენ და გადაეხვივნენ, ვითომ დიდი ხნის უნახავი გვყავხარო. ვინც აკოცა, მაშინვე მგლის სისხლის სუნით დარეტიანდა, მაგრამ ვითომ არაფერი — ნახვის სიხარულმა ხელი დაგვრიაო.

— რავა ხარ, რავა გიკითხოთო?

— რა ვიცი, დარდმა არც მომკლა, არც მომარჩინაო.

— შე კაი კაცო, ჩვენც ვიცოდით დარდი, მაგრამ მგლები აღარ გვერჩიან და რაღა გვადარდებსო.

— მაგათი სახელი არ მიხსენოთო, — და ისე გაავდა, სულ კბილები აუკაწკაწდა.

— კარგიო, — უთხრეს, — ნერვებს ნუ აიშლი, რაც იყო, იყო, აწი მაინც ჩვენთან იყავიო! — დაპატიჟეს და წავიდნენ. მაგრამ სად წავიდნენ, იქვე ჩაუსაფრდნენ. მგლის ხსენებაზე კბილები რომ შიშით კი არა, შურისძიებით და რისხვით აუკაწკაწდა, იფიქრეს, სულში მართლა ეშმა ჩასახლებიაო.

ამ მგლის სისხლისმსმელს, შიში რომ აღარავისი ჰქონდა, უკანაც არ მოუხედია, გადაძოვილ მდელოზე გავიდა (რაც კურდღლები მომრავლდნენ, ბალახიც კი აღარ იყო) და მგლის კვალს დაადგა. მისდევენ უკან, თვალებს არ უჯერებენ, მაგრამ ხედავენ, საითაც მგლის კვალი მიდის, იქით მიიჩქარის. ახლა ამ მათი თანამოძმის უფრო ეშინიათ, მაგრამ თუ არ გაჰყვნენ და დამნაშავე არ იპოვეს, მგლებს ვინ გადაურჩება.

სდიეს დიდი შიშით და ცახცახით, სდიეს და ბოლოს რაც ნახეს, არც მათ სჯეროდათ და ვერც დააჯერებდნენ, მაგრამ უკან თავქუდმოგლეჯილნი გაიქცნენ და ქვეყანა შეძრეს:

— ზღაპარში გაუგონარი რამ მოხდა, კურდღელი მგელს თავს დაესხა და სიკვდილზე მიაყენაო!

უკან დაბრუნებულ, მგლის სისხლით გამაძღარ კურდღელს სოროსთან დახვდნენ და ბორკილი დაადეს.

— ასე და ასე, შენს ტყავში გველეშაპი ჩასახლებულა და მგლებს უნდა გადაგცეთო.

— ჩემს ტყავში გველეშაპი კი არა, მეც ვერ ვეტევიო, — იმართლა თავი შურისმაძიებელმა.

— ტყავში რომ ვერ ეტევი, სწორედ ამიტომ უნდა გადაგცეთო!

— მგლებს გადამცეთ რა, მგელი ხომ არ ჩამსახლებიაო?..

— მგლები შურს ჩვენზე იძიებენ, რაკი მგლის სისხლს სვამო.

— მაგრამ მგლები თქვენს სისხლს რატომ არ სვამენ, თუ იცითო?

— მგლებს ამ ბოლო დროს ვუყვარვართო.

— რატომ „უყვარხართ", ხომ არ იცითო?!

— კეთილები ვართ, არავის არაფერს ვუშავებთ, ხორცს არ ვჭამთ და სისხლს არ ვსვამთო.

— კი მაგრამ, მამაჩვენები და ბაბუაჩვენები მგლებს ჭამდნენ და ამიტომ არ უყვარდათო? — შურისმაძიებელს, რაც თავი ახსოვდა, არ გაღიმებია და ახლა გადაიხარხარა.

— ვთქვათ იმათ უდანაშაულოდ ჭამდნენ, მაგრამ მათი სისხლი რომ მოვითხოვოთ, ჩვენც ხომ ზედ მიგვაყოლებენ. მადლობა ღმერთს, ახლა აღარ გვერჩიან. შენი გულისთვის თავს ვერ დავიღუპავთო.

ავ კურდღელს ბევრიც რომ ემტკიცებინა, ჩემითაა, რომ ხმას არავინ გცემთო, ვინ დაუჯერებდა.

ყველაფერი უბედურებით დამთავრდა. ავი კურდღელი მგლებს ბორკილდადებული ხელში ჩაუვარდა და რას გაუშვებდნენ! სხვათა შორის, ვინც ტყვე გადასცა, ისიც იქვე ზედ მიაყოლეს.

მოდგნენ მას მერე და ნელ-ნელა ისევ დაიწყეს ცანცარების ჟლეტა. გააყურეს, დამშლელი არავინაა. იცოცხლე, მიეცათ მადა, მაგრამ განა მარტო მგლები? ვისაც ჩიჩია მოუნდება, კურდღლებს ყველა მუსრს ავლებს.



შორს უახლოესი თანატოლები



# ჩეხოსლოვაკიელი პიონერები

ყოველი ჩეხოსლოვაკიელი პიონერისათვის ძვირფასია 1949 წლის 24 აპრილი — მისი პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღე.

ჩეხოსლოვაკიის პიონერულ ორგანიზაციას გმირული ისტორია აქვს. ქვეყანაში ჯერ კიდევ ბურჟუაზიული წყობილების დროს კომუნისტებმა საფუძველი ჩაუყარეს ბავშვთა პროგრესულ მოძრაობას. წითელი პიონერები კომუნისტებთან ერთად იბრძოდნენ ბედნიერი, სამართლიანი ცხოვრებისათვის, ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ.

ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაცია მაგალითი იყო ჩეხოსლოვაკიელი ნორჩი მებრძოლებისათვის. როგორც საბჭოთა პიონერები, ისინიც დაირაზმნენ წითელი დროშის ქვეშ და გაიკეთეს წითელი ყელსახვევები. როგორც საბჭოთა პიონერები, ისინიც ებრძოდნენ ფაშიზმს, გმირობასაც სჩადიოდნენ, ხოლო ბევრი მათგანი დაიღუპა კიდეც ამ ბრძოლაში.

მხოლოდ ჩეხოსლოვაკიაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ 1948 წელს შექმნა პირობა, რომ ახდენილიყო ასობით ათასი ჩეხოსლოვაკიელი ბავშვის ოცნება — შექმნილიყო მასობრივი პიონერული ორგანიზაცია. იმ წლების პირველ პიონერებს ახსოვთ, რა სიამაყით მიიღეს პიონერული ფიცი.

დღეისათვის ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის პიონერული ორგანიზაცია თითქმის 2 მილიონ ბავშვს აერთიანებს. პიონერულ რაზმებსა და რაზმეულებს ათასობით ახალგაზრდა მუშა, მასწავლებელი, სტუდენტი, სა-

17463

მხედრო მოსამსახურე ხელმძღვანელობს.

პიონერები ცდილობენ, რაც შეიძლება კარგად შეასრულონ პიონერული ფიცი: იყვნენ მზად თავიანთი სოციალისტური სამშობლოს შენებისა და დაცვისათვის. სკოლაში ისინი ღრმა ცოდნას ეუფლებიან, სრულყოფენ თავიანთ ნიჭსა და უნარს. ჩეხოსლოვაკიელ პიონერებს მტკიცე მეგობრობა აქვთ საბჭოთა პიონერებთან და მთელი მსოფლიოს ბავშვებთან. მათს ერთ-ერთ პიონერულ კანონში ნათქვამია: „პიონერი საბჭოთა კავშირის მეგობარია, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და პროგრესის დამცველი...“ ჩსსრ-ში შექმნილია ინტერნაციონალური მეგობრობის მრავალი კლუბი. კლუბები არსებობს თითქმის ყველა პიონერულ რაზმეულში, სულ პატარა სოფლებშიც კი. ჩეხოსლოვაკიელ პიონერებს მიმოწერა აქვს საბჭოთა მეგობრებთან, ბევრი პიონერული კოლექტივი ეწვია საბჭოთა კავშირს. ასე მტკიცდება მეგობრობა.

ჩეხოსლოვაკიის პიონერული ორგანიზაციის მთავარი ამოცანაა, აღზარდოს ახალი ადამიანი, სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოების მომავალი მშენებელი.

ორგანიზაცია თავის რიგებში აერთიანებს ნ ა პ ე რ წ კ ლ ე ბ ს, უ მ ც რ ო ს და უ ფ რ ო ს პიონერებს. ნაპერწკლები 6-დან 8 წლამდე მოსწავლეები არიან, უმცროსი პიონერები — მოსწავლეები 8-დან 11 წლამდე, უფროსი პიონერები — 11-დან 15 წლამდე.

პიონერული რაზმეულები, როგორც წესი, იქმნება სკოლებში, ხანდახან პიონერთა და ახალგაზრდობის სახლებთან, საწარმოებთან. რაზმეულების მუშაობას ხელმძღვანელობენ პიონერული ორგანიზაციის საბჭოები: რაიონული, საოლქო, რესპუბლიკური (ჩეხური და სლოვაკური), პრაღის პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭო.

პიონერხელმძღვანელი 18 წელზე მეტი ხნისა უნდა იყოს. მას ჰყავს თანაშემწე ან პიონერ-ინსტრუქტორი.

მომავალი პიონერხელმძღვანელების მომზადების ერთ-ერთი ფორმაა ინსტრუქტორებთან მუშაობა. 14 წელზე უფროსი ასაკის ყველა ქალიშვილსა და ჭაბუკს შეუძლია გახდეს ინსტრუქტორი. პიონერულ რაზმებსა და რაზმეულებს ინსტრუქტორები ყველა პიონერული საქმის მოგვარებაში ეხმარებიან.

როგორც წესი, ჩეხოსლოვაკიაში ყველა პიონერულ რაზმეულს ჰყავს შეფი საწარმო. საწარმო და პიონერული რაზმეული დებენ საშეფო ხელშეკრულებას, რომელშიც ჩამოყალიბებულია საწარმოს და რაზმეულის ამოცანები. ამგვარად, ქარხანა აგზავნის რაზმეულში ხელმძღვანელებს, ყიდულობს წრეობრივი მუშაობისათვის აუცილებელ მოწყობილობას. პიონერები, თავის მხრივ, მონაწილეობენ საწარმოს ტერიტორიის კეთილმოწყობაში, რგავენ ხეებს, მართავენ შეფებისათვის კონცერტებს.

პიონერებს დიდ დახმარებას უწევენ მშობლებიც. ისინი გაერთიანებული არიან პიონერული ორგანიზაციის მეგობართა საზოგადოებაში.

## ჩეხოსლოვაკიელი პიონერების ფიცი

ჩემი ამხანაგების წინაშე საზეიმო ფიცსა ვდებ: ვიშრომო, ვისწავლო და ვიცხოვრო პიონერული კანონების მიხედვით, გავხდე ჩემი საყვარელი სამშობლოს — ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ღირსეული მოქალაქე და მთელი ჩემი მოქმედებით დავიცვა ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის პიონერული ორგანიზაციის ღირსება.

## ჩეხოსლოვაკიელი პიონერების დევიზი

— სოციალისტური სამშობლოს შენებისა და დაცვისათვის იყავ მზად!

— მზად ვარ!

## ჩეხოსლოვაკიელი პიონერების კანონები

პიონერი თავისი სოციალისტური სამშობლოს და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ერთგულია.

პიონერი საბჭოთა კავშირის მეგობარი და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და პროგრესის დამცველია.

პიონერი დიდად აფასებს გმირობას შრომასა და ბრძოლაში. თავისი ქცევით, სწავლითა და შრომით პიონერს სარგებლობა მოაქვს სოციალისტური სამშობლოსათვის.

პიონერი ამაყობს ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის პიონერული ორგანიზაციით.

პიონერი ემზადება ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის რიგებში შესასვლელად.

**ასკ პიონერული ორგანიზაციის დროშა. რაზმეულის დროშა. რაზმის ვიმპელი.** წითელი დროშა არის ასკ პიონერული ორგანიზაციის ძირითადი სიმბოლო.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პიონერულ ორგანიზაციას მისი შექმნის 25 წლისთავზე გადასცა წითელი დროშა. ეს დროშა ინახება ჩეხოსლოვაკიელ ბავშვთა სასახლეში პრაღის კრემლში.

ყოველ რაზმს აქვს თავისი ალამი — სამკუთხა ვიმპელი. ვიმპელის უკანა მხარეს შეიძლება იყოს ნაჩვენები რაზმის სიმბოლო ან სახელწოდება.

რაზმეულის დროშაზე პასუხისმგებელია რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე, რაზმის ვიმპელზე კი — რაზმის საბჭოს თავმჯდომარე. საუკეთესოთა შორის უკეთესს ირჩევენ მედროშედ.

პიონერული რაზმეულის დროშა ინახება სკოლაში. პიონერთა რიგებში შესვლისას ამ დროშასთან დებენ ფიცს ნაპერწკლები. პიონერისათვის დიდი პატივია ასკ პიონერული ორგანიზაციის დროშასთან სურათის გადაღება.

**პიონერული ყელსახვევი** არის საპატიო სიმბოლო იმისა, რომ ხარ ასკ პიონერული ორგანიზაციის წევრი; მისი სამი ბოლო კი სიმბოლოა სამი თაობის — პიონერების, ასკ წევრებისა და კომუნისტების ერთიანობისა.

**პიონერული სამკერდე ნიშანი.** მასზე გამოსახულია ჩსსრ სახელმწიფო დროშა, გაშლილი წიგნი და კოცონის სამი ალი. ეს არის სამშობლოს, ცოდნის სიყვარულის და სამი თაობის მემკვიდრეობის სიმბოლო.

**პიონერული სალუტი.** ეს პიონერული მისალმებაა. მარჯვენა ხელის მჭიდროდ შეკრული ხუთი თითი იწევა თავს ზემოთ. მჭიდროდ შეკრული თითები მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის მშრომელთა შვილების შემჭიდროების სიმბოლოა. თავს ზემოთ აწეული ხელი კი იმას ნიშნავს, რომ საერთო ინტერესებს პიონერი პირადულზე უფრო მაღლა აყენებს.

**პიონერული ფორმა.** პიონერებს აცვიათ ცისფერი ხალათი და მუქი შარვალი ან ქვედაკაბა, უკეთიათ პიონერული ყელსახვევი და სამკერდე ნიშანი. ეს პიონერის ყოველდღიური ფორმაა.

პიონერების სალაშქრო ფორმა კი ასეთია: ხაკისფერი ხალათები და მუქი ფერის მოკლე შარვლები — შორტები.

ასკ პიონერულ ორგანიზაციაში შესულები ღებულობენ პიონერულ ყელსახვევს, პიონერულ სამკერდე ნიშანს, ასკ პიონერული ორგანიზაციის წევრობის მოწმობას.



ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფ. საჯარ.
ბიბლიოთეკა

## შალვა ფორჩხიძე



### დაიხსომეთ, ანდერძს გიწერთ!

ცაზე თეთრად მოფენილან
ვარსკვლავები კრიალა,
ჩემი ჩიტიც მოფრენილა,
ტანში შემაჟრიალა!
აივანზე გალობს მარტო,
იქნებ დედას ეძახის,
ყვავილების სუნი ათრობს,
ჰყავის ჩვენი ვენახი!
მთვარე ვახშამს აგვიანებს,
ტყე აქვს მოსავერცხლავი
და ბურუსში დასრიალებს,
როგორც თეთრი მერცხალი.
ვზივარ მყუდრო აივანზე,
ღამე იწვის ცვილივით,
ვაზის რტოს რომ ქარი არწევს,
მიყვარს ჩემი შვილივით!
თქვენც გიყვარდეთ სანუკველი
ეს მიწა და ეს წყალი,
მშობლის მაქო-სამუხველი,
კალო გასალეწავი.
თქვენც გიყვარდეთ საქართველოს
მწიფე ყანა-ვენახი;
დედა უნდა ასახელოთ,
ციდან ჩიტი გეძახით!
უკვდავების რომ სვათ წყარო,
აგიყვავდეთ მამული,
შრომა უნდა შეიყვაროთ,
იყოთ ლხინში ჩართული!
დაიხსომეთ, ანდერძს გიწერთ
მოზრდილსა და პატარას,
გაისარჯეთ, მადლი გიწევთ,
ჩემმა ჩიტმა მახარა!

### მზემ სიცილი გაახშირა

უკვე დადგა თებერვალი
და ზამთარი გაილია,
ხეში ჩადგა თბილი წყალი,
გაილვიძა თოვლქვეშ იამ.
აფრთხიალდნენ ბელურები,
ზამთრის ღამე დანახშირდა,
ბიჭო, ხომ არ ეხუმრები,
მზემ სიცილი გაახშირა!
პაპა ქლიბით ლესავს სახნისს,
მამა წალდით ბელავს ტირიფს,
აგვევსება ლხინით სახლი,
სიხარულით ვაზი ტირის.
ტყეში გაჩნდა რილო-ჭრილო,
აღარ სცივათ კორჩიოტებს,
ატმის ფიფქით ნაქსოვ ჭილოფს
მარტი ბაღში დაგვიტოვებს.
როგორ მორთოს თეთრად ხენი,
ეს აპრილმა უკეთ იცის;
ჟამი წინ გვაქვს მოსალხენი,
თოვლის პერანგს მიწა იცვლის.
მზემ სიცილი გაახშირა,
გაზაფხული მობრძანდება,
ზამთრის ღამე დანახშირდა,
დგება შუქთა მოძალება!



მხატვარი გ. ფოცხიშვილი



### მოფერება უნდა ტყეს!..

მოფერება უნდა ტყეს,
მოვეფეროთ, გეთაყვა!
ძველად სცემდნენ თაყვანს ხეს,
ალბათ, ტყესაც დედა ჰყავს.
საქართველოს მთა-გორებს
უკვდავების ხე შვენის,
ტყე ლურჯ ზღაპარს მაგონებს,
მწამს, სიცოცხლეს ტყე შველის!
რა სჯობია ტყის სურნელს,
ცაცხვი რომ აყვავდება,
ცა გადიყრის შავ ღრუბელს,
სულს მზე შეუყვარდება!
მოფერება უნდა ტყეს,
ტყე სიცოცხლეს ინახავს,
როგორ სცვივა ცრემლი ხეს,
ჩემი თვალით მინახავს.
მოფერება უნდა ტყეს,
რომ გამრავლდეს აკვნები,
უნდა მივცეთ ხელი ხელს,
დავრგოთ ბევრი კაკლები.
ხის სახლს რა შეედრება,
ჩუქურთმებით მოოჭვილს;
ოსტატს ტყე ეშველება,
ტყე მცხეთის და ბოჭორმის,
ტყე ქართლის და კახეთის,
ტყე რაჭის და აჭარის
მთელი ერის სახელით
უნდა ასცდეს გასაჭირს!
მოფერება უნდა ტყეს,
მოეფერეთ, გეთაყვა,
ცისქვეშ გაზრდილ ყველა ხეს,
ალბათ, თავის დედა ჰყავს!

**რაბი დავით ილიანი**




მხატვარი თ. ფხიკიძე

ნინევიაში ხმა დაირხა, ქალაქში ვიღაც იდუმალი ჭაბუკი გამოჩნდა, რომელიც მზეს სვამსო.

ხალხი გაოცდა: როგორ, განა შეიძლება მზის დალევა? მზე ხომ წყალი არაა!

მთელი ქალაქი ჭაბუკის ნახვის სურვილმა აიტაცა. განსაკუთრებით ის აინტერესებდათ, როგორ სვამდა ყმაწვილი მზეს.

ერთნი ამბობდნენ, ჭაბუკი ბაზარში დავინახეთო; ზოგის აზრით, მისი სამყოფელი პარკები და მოედნები იყო; სხვები ფიქრობდნენ, ქალღმერთ იშტარის ტაძარში ცხოვრობსო; ვიღაც-ვიღაცები ამტკიცებდნენ, საკუთარი თვალით ვიხილეთ, წიგნით ხელში შეშლილივით დარბოდა ტაძრის ირგვლივ და ხმამაღლა ყვიროდაო:

ჰეი, თქვენ, ქურუმებო,
ჰეი, თქვენ, უმეცარნო,
მზე შესვით!
მზე შესვით!

შემოურბენდა ტაძარს ორ-სამჯერ, თვალს მიეფარებოდა და ახლა შორიდან ისმოდა მისი ხმა:

ჰეი, თქვენ, ადამიანებო,
ჰეი, თქვენ, ბრბოდ ქცეულნო,
მზე შესვით!
მზე შესვით!

ასე გადადიოდა ბაგიდან ბაგეზე ზღაპარი მოუხელთებელი ჭაბუკის შესახებ.

თქმულება

... და ერთხელ, როგორც იქნა, მიაგნეს მის კვალს:

ბავშვებმა ამბავი მოიტანეს, ჭაბუკი იანქს ტაძრის ბიბლიოთეკაშია, სასახლის კარიბჭის ახლოსო...

ყველა იქით გაეშურა. თითოეული ცდილობდა, სხვისთვის დაესწრო მზის მსმელი ჭაბუკის ნახვა.

და როცა ბიბლიოთეკის კარები შეაღეს, დაინახეს ჩვეულებრივი თაფლისფერთვალება, შავგვრემანი ბიჭი, რომელიც იატაკზე ფეხმორთხმით იჯდა, წინ წარწერებით აჭრელებული თიხის ფირფიტები ეწყო და მშვიდად ჩასჩერებოდა. ბიჭი კითხულობდა დაფიქრებით, თავაუღებლად.

მის წინ წყლით სავსე თიხის სურა და ლამაზი ფიალა იდგა.

ხალხმა მოუთმენლად შესძახა: „ჰეი, ბიჭიკო, მართლა შენა სვამ მზეს?“

ჭაბუკმა თავი ასწია, ხალხს გაკვირვებით შეხედა. წამით დაიბნა, მაგრამ მაშინვე გონს მოეგო და უპასუხა:

— დიახ, მე ვსვამ მზეს!

— ამ ფიალით?

— არა, ამ ფიალით წყურვილს ვიკლავ, ხოლო მზეს კი ამით, აი, ამით ვსვამ!

ეს თქვა და ფეხზე წამოდგა, ორივე ხელით ზევით ასწია და თავს ზემოთ დაიჭირა თავისი დიდი და მძიმე „წიგნი“ — თიხის წარწერებიანი ფირფიტები და გაიმეორა:

— ამით, აი, ამით ვსვამ მზეს!

ხალხი ჯერ გაოცდა, მაგრამ მერე თავისუფლად ამოისუნთქა: მიხვდა, რას ნიშნავდა „მზის შესმა“.

მას შემდეგ ადამიანები შვილებს ასწავლიან, როგორ შესვან მზე წიგნებით.

თარგმნა მარინე ფერიშვილმა

---

## საინტერესო სიახლენი

### ელექტრონული მასწავლებელი

ინგლისში შექმნეს საბავშვო ელექტრონული საწერი მანქანა ანბანის შესასწავლად. სათანადო კლავიშზე თითის დაჭერისას ელექტრონული „მასწავლებელი“ ხმამაღლა წარმოთქვამს ასო-ბგერას. იმათთვის, ვინც ანბანი უკვე იცის, პროგრამა უფრო რთულია: ხმამაღლა წარმოითქმება დასამახსოვრებელი 160 სიტყვა. მოსწავლემ ეს სიტყვები მანქანაზე უნდა დაბეჭდოს. თუ სწორად დაბეჭდავს, მანქანა დუმს, მაგრამ თუ შეცდომას დაუშვებს, მანქანა სიტყვის ხელახლა დაბეჭდვას მოითხოვს. თუ ამჯერადაც შეცდომა იქნა დაშვებული, მანქანა სიტყვას ასო-ასო, ჩათვლით წარმოთქვამს.

### მფრინავი მოტოციკლეტი

ამერიკის შტატ კონექტიკუტში დაიწყეს ზემსუბუქი მფრინავი აპარატის — ჟიროპლანის გამოშვება. აპარატს შეუძლია 12-მეტრიან საფრენ ზოლზე აფრენა და 6 მეტრი დიამეტრის მქონე მოედანზე დაშვება. ჟიროპლანს 28 ლიტრი ბენზინი (სავსე ავზი) ჰყოფნის 240 კილომეტრზე საათში 112 კილომეტრი სიჩქარით ფრენის დროს. მიუხედავად იმისა, რომ ვერტიკალურ ღერძზე მას ხრახნი აქვს, ჰაერში გაჩერება არ შეუძლია, თვითმფრინავივით ის სულ წინ უნდა მოძრაობდეს.

### როგორ ვებრძოლოთ უძილობას

ბრაზილიელმა უმბერტო მორეტუმ უძილობასთან ბრძოლის ორიგინალური ხერხი გამოიგონა. მას შემდეგ, რაც უშედეგო აღმოჩნდა წამლები, უმბერტომ თავისი სახლის სახურავზე ხელოვნური წვიმის გამომწვევი სპეციალური მოწყობილობა დააყენა. დაწვება თუ არა, მორეტუ სათანადო ღილაკს აჭერს თითს და მშვიდად იძინებს წვიმის თანაბარ, დამამშვიდებელ ხმაურში.

# ლუკმა პურის ფასი

სიამოვნებით ვკითხულობ ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებულ ყოველ სტრიქონს და ასეთივე სიამოვნებით ვუსმენ რადიოს, როდესაც პიონერები თავიანთ საქმიანობაზე ლაპარაკობენ. ისინი გულწრფელად მსჯელობენ წარმატებებსა თუ ჩამორჩენაზე, ქცევაზე, დოვლათის ყაირათიანად გამოყენებასა თუ უყაირათობაზე და სხვა მრავალ საინტერესო საკითხზე. მათმა საზრიანმა საუბარმა დამაწერინა ეს წერილი.

რამდენიმე დღის წინ ავტობუსის გაჩერებაზე ვიდექი. ფიქრებში გართულს ბავშვის ხმა შემომესმა. მივიხედე. გვერდით ბავშვიანი ქალი იდგა.

— დედიკო, აღარ მინდა მეტი.

— კარგი, გადააგდე, შვილო! — უთხრა დედამ ბავშვს და დავინახე, რა დაუნანებლად ისროლა ბავშვმა ნახევარზე მეტი ფუნთუშა ქუჩაში.

შევხედე ამ უზრუნველი გამომეტყველების მქონე ქალბატონს და გამოგიტყდებით — შემეზიზღა. ხმა ვერ ამოვიღე. ავტობუსი მოვიდა, დედაშვილი ავტობუსში ავიდა, მე შემდეგს დაველოდე. ელვის სისწრაფით წარმომიდგა თვალწინ ბავშვობის წლები. მოგონებებმა წამიღეს შორს, მრავალი წლის იქით...

1943 წლის ზაფხული იყო. ომის ქარ-ცეცხლი მძვინვარებდა. მისგან გამოწვეული გაჭირვება და შიმშილი დაძრწოდა კარდაკარ.

— რა ვქნა, რა ვაჭამო ბავშვებს, მომიკვდებიან მშივრები, — სწუხდა ჩემი კეთილი ბებია ედუქსი.

ულამაზესი ეზო ჰქონდა ბებიას, სხვადასხვა ჯიშის ხეხილით სავსე. მიუხედავად გაჭირვებისა, იგი დაუნანებლად აძლევდა ყველას ხილს, რითაც შეეძლო, ყველას ხელს უმართავდა.

ასეთივე სათნო და კეთილშობილი იყო ჩვენი კარის მეზობელი, ნიფიდორე ბებია. ხშირად მიფიქრია, რომელი უფრო კეთილია-მეთქი. ორივეს ერთნაირად ჰქონდა გული სიკეთით სავსე.

ერთხელ, როდესაც ჩემი ბებია მშიერი იჯდა აივანზე (დილით გაგვითავდა ფქვილი) და თვითონ გულგადალეულმა არ ვიცოდი, რით მეშველა მისთვის, ნიფიდორე ბებიამ დამიძახა: მოდი, ბებია, ჩემთან, აკვანს წაურწიე ცოტა ხანს, მე ბევრი საქმე მაქვს და არ იძინებს ეს მამაძაღლი ბიჭიო.

— ახლავე! — წამოვხტი და მივირბინე. როდესაც აკვანთან მივედი, ბავშვს უკვე ეძინა, მაგრამ ნიფიდორე ბებიამ მაინც დამსვა აკვანთან. თურმე მჭადისა და ყველის მოცემა უნდოდა და ეს მოისაბაბა. მთელი მჭადის მესამედზე დამიდო ყველის ნაჭერი და მითხრა: გასინჯე, გენაცვალე, ერთი, რაღაც მწარე მეჩვენებაო. იმ გაჭირვების დროს ფქვილს ვინ დაამწარებდა? მივუხვდი მის სიკეთეს, გამოვართვი, მადლობა ვუთხარი და ისევ დავჯექი მორცხვად აკვანთან. თვითონ კი, ჩემთან ჭამა არ მოერიდოსო, გარეთ გავიდა და საქმეს შეუდგა. მე კი სიხარულისაგან შიმშილი სულ გადამავიწყდა. მე ხომ ვიცოდი, რომ ჩემი ბებია მშიერი იყო. გარეთ გავიხედე, ნიფიდორე ბებია არსად ჩანდა. გავიქეცი, გადავევლე ღობეს, მივირბინე ჩემს ბებიასთან, დაბლიდან მივაწოდე მჭადი და ყველი და ისევ უკან გამოვიქეცი.

ბებიამ მომაძახა:

— შენ ჭამე, შვილო, შენ!

— მე ბევრი ვჭამე, ბებია, მეტი აღარ მინდა, — ვუპასუხე ბებიას და სირბილით ისევ აკვანთან დავბრუნდი. ბედნიერი ვიყავი, აღარც მშიოდა.

მალე შემობრუნდა ნიფიდორე ბებია სახლში და შევნიშნე, რომ კეთილ თვალებში ცრემლი უკიაფებდა. მას, თურმე, ყველაფერი დაუნახავს. მომიახლოვდა, გულზე მიმიკრა და მაკოცა...

— საოცარია! — ვჩურჩულებდი ფიქრებიდან გამორკვეული, — მიუხედავად იმ უდიდესი გაჭირვებისა, რა სიყვარული და პატივისცემა გვქონდა ადამიანებს ერთმანეთის, რამდენ სიკეთეს იტევდა გული, რა ფასი ჰქონდა ყოველ ლუკმა პურს. ახლა კი რა დაუდევრად ვექცევით მას. მერე რა, რომ ბევრი გვაქვს! მე ვფიქრობ, მეტი მომჭირნეობაა საჭირო. ყოველი გრამი პური ხომ უდიდესი შრომის ნაყოფია.

ც. ჯანდიერი

საქართველოს სოფლის მეურნეობის, მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი.

# მე ოქტომბრელთა მეგობარი ვარ

როგორც ყველა სკოლაში, ჩვენთანაც არის ოქტომბრელთა საბჭო.

როდესაც ოქტომბრელებთან მუშაობა შემომთავაზეს, სიამოვნებით დავთანხმდი, რადგან პატარებთან მეგობრობა დიდ სიამოვნებას მანიჭებს და დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ მათ წინაშე.

როგორც ვიცით, ნორჩები დაუსწრებლად მოგზაურობენ ოქტომბრელთა ქვეყანაში, ეს მოგზაურობა მრავალ საინტერესო ღონისძიებას ითვალისწინებს.

პირველი ჩვენი ღონისძიება წითელი ვარსკვლავის ზეიმი იყო. მისთვის მზადება დიდი ხნით ადრე დავიწყეთ. პატარები სწავლობდნენ ოქტომბრელთა წესებს, სიმღერებს, ლექსებსა და პიესებს. ბოლოს ზეიმის დღეც დადგა. პატარები მშობლებთან და მასწავლებლებთან ერთად შეიკრიბნენ სააქტო დარბაზში. უნდა გენახათ, როგორ უციმციმებდათ თვალები, როცა მოწინავე პიონერებმა მათ ოქტომბრელთა ნიშანი გაუკეთეს.

დიდხანს გაისმოდა ოქტომბრელთა წკრიალა ხმები, ვინ ლექსს კით-

ხულობდა, ვინ მღეროდა, ვინ პიესა წარმოადგინა. შემდეგ ოქტომბრელთაგან ავირჩიეთ მეთაური, რომელსაც გადაეცა ოქტომბრელთა ალამი. ამიერიდან სწორედ ის გაუძღვება თავის თანატოლებს ოქტომბრელთა საინტერესო საქმეებში.

მ. კიკნაველიძე,
ზესტაფონის № 2 საშუალო სკოლის,
ოქტომბრელთა მეგობრობის საბჭოს
თავმჯდომარე.

## ჩვენი შემოქმედება

### ოცნება

ღამემ ფიქრი აიტაცა
და არ გამიავდარა,
ცის კამარას ვარსკვლავები
პეშვით შემოაყარა.
მაფიქრა და მაოცნება:
სად ვიყო და სად არა,
ვარსკვლავიდან ვარსკვლავამდე
მაფრინა და მატარა!
იქნებ იქაც მოჩუხჩუხებს
ცივი წყარო ანკარა?
იქნებ იქაც შესციცინებს
დედის ალერსს პატარა?..

ვიტალი გარათაშვილი,
ზესტაფონის რაიონის მეორე სვირის
საშუალო სკოლა, V კლასი.



ბებია
საწინდეს
რთავს.

ლალი
ყაჯრიშვილი,
12 წლის,
წითელი წყარო,
სოფელი
ჯაფარიძე.

### ემღერება გულს

მესიზმრება
პაწაწინა თეთრი სახლი...
წვიმა მოდის,
ემღერება გულს.
გაზაფხულდა,
გაიფურჩქნა ბაღში ვარდი,
მზე იცინის,
ცაში ფრენა მსურს.
ცისარტყელა
აკიაფდა უცებ ცაზე,
ორღობეში ბიჭი ეძებს ბურთს.
ფანჯარასთან
ილიმება ანცი ბავშვი.
ქარი ქრის და
ემღერება გულს.

თამრიკო შაიშმელაშვილი,
ხილნალი, ტიბაანის საშუალო
სკოლა, X კლასი.



ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 3

### ორი მეგობარი

იყო და არა იყო რა. იყო ორი გოგონა. დიდი მეგობრები იყვნენ და ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. მუდამ ერთნაირ კაბებს იცვამდნენ, ერთნაირ საჭმელს მიირთმევდნენ, ერთად დადიოდნენ მდინარეზე წყლის მოსატანად. ხალხი მათ მუდამ ერთად ხედავდა, ამიტომ ამბობდნენ, რა კარგი მეგობრები არიანო.

მაგრამ ერთ დღეს ერთმა ახალგაზრდამ თქვა:

„თქვენ ამბობთ, რომ ეს გოგონები კარგი მეგობრები არიან. მე კი არა ვარ დარწმუნებული, და ვნახოთ, მართალი ვარ თუ არაო.

მეორე დღეს იმ ახალგაზრდამ ქუჩაში გააჩერა გოგონები, — „დილა მშვიდობისაო", მიესალმა, და უთხრა, — „მე მინდა, ერთ-ერთ თქვენგანს გავესაუბროო". „როგორ თუ ერთ-ერთს, ჩვენ მეგობრები ვართ და ორივეს ერთად უნდა გვესაუბროთ".

„მე კი არ მინდა, ორივეს ერთად გელაპარაკოთ. მხოლოდ ერთ-ერთ თქვენგანს უნდა ვესაუბრო. შემდეგ იმ ერთს, რომელსაც დაველაპარაკები, შეუძლია მეორეს უამბოს, რასაც მე ვეტყვი".

და ერთ-ერთ გოგონას ყურში ჩასჩურჩულა: „შენ, შენ, შენ, შენ... გესმის?"

გოგონამ უპასუხა: „დიახ".

ახალგაზრდა გაშორდა გოგონებს.

„რა გითხრა, ჩემო კარგო?" — ჰკითხა მეორე გოგონამ მეგობარს.

„არც არაფერი!" — უთხრა პირველმა, — „შენ, შენ, შენო", ეს იყო და ეს".

— „რა თქვა ჩემზე, ჩემზე, ჩემზე, ჩემზე?" — ჰკითხა მეორე გოგონამ.

„შენზე არაფერი უთქვამს, მარტო „შენ!" თქვა".

„კი მაგრამ, შენ რომ „დიახ" უთხარი?! ეტყობა, არ გინდა, ყველაფერი მითხრა!"

„გეუბნები, რომ მხოლოდ და მხოლოდ „შენ!" მითხრა".

„კარგი, მაგრამ ჩემზე რაღა გითხრა?"

„რა სულელი რამა ხარ! ხომ გეუბნები, მხოლოდ „შენ" მითხრა".

„მაშ ეგრე, არა? შენ არ გინდა ყველაფერი მითხრა, მე კი შენი მეგობარი ვარ, თუმცა არა, ვიყავი, ვიყავი შენი მეგობარი და აღარა ვარ!"

„არა და ნუ! არც მინდა ასეთი სულელი მეგობარი მყავდეს!"

„შენ მატყუარა ხარ!"

„შენ კი სულელი ხარ, ძალიან სულელი!"

შემდეგ ერთი გოგონა ერთ მხარეს წავიდა, მეორე — მეორე მხარეს. ერთმანეთს არც კი დამშვიდობებიან.

აი, ასეთი უსიამოვნო დასასრული ჰქონდა მათს ხანგრძლივ მეგობრობას.

ინგლისურიდან თარგმნა კახა გუაჩიძემ,
თბილისის 65-ე საშუალო სკოლა, X კლასი.



განყოფილებას ხელმძღვანელობს
ფილოლოგიურ მეცნიერებათა
კანდიდატი ნოდარ შამანაძე

## ჩვენი კახეთი

ჩვენი კახეთი... გომბორის მთიდან
გადასახედი ალაზნის მხარეს,
ჩვენი კახეთი — ვაზის ქვეყანა,
ლურჯი ყანები, ზღვისებრ მღელვარე.
ჩვენი კახეთი — ივრის პირები,
შირაქის ველი, ჭაჭუნა, ჩათმა,
გრემი, იყალთო და ალავერდი,
გულში გვინთია ჩაუქრობ სანთლად.
ჩვენი კახეთი—მაყვლის ბუჩქები,
ვაშლის ბაღები, სიმინდის ყანა,
ციხე კვეტერა და ბახტრიონი,
მათი გმირები საფიცრად გვყვანან.
ჩვენი კახეთი, გმირების მხარე,
თამარის ციხე და ხორნაბუჯი,
ბევრისა მთქმელი, მაგრამ ამჟამად
დადუმებული, უტყვი და მუნჯი.
ჩვენი კახეთი — ყურძნის ბარაქით,
პურის დოვლათით ძლიერი მხარე,
დღეს ხომ ძლავრია და სანაქებო,
მწამს, უკეთესი იქნება ხვალე.

მთქმელი — ნიკოლოზ შაკიაშვილი,
(60 წ.)
ჩამწერი — ბესიკ შაკიაშვილი,
გურჯაანის რაიონის სოფ. კარდანახის
საშუალო სკოლა, X კლასი.

## სწავლა სიბერემდეო

ვერ ვკითხულობდი, ვერ ვწერდი,
ანბანის არა ვიცოდი,
რომ მოვხვდებოდი ხალხშია,
ც-ცი სირცხვილით ვიწვოდი.

გაზეთებს აშრიალებდნენ,
ახალ ამბებზე მსჯელობდნენ,
მე კი ხმას რომ ვერ ვიღებდი,
აბუჩად შემომცქეროდნენ.

სწავლაა სიბერემდეო,
არის ანდაზა ასეთი,
ვისწავლე ანბანა და
მეც წავიკითხე გაზეთი.

ეხლა ვიხილე სინათლე,
სიბერე არაფერია,
მახარებს სოფლის ცხოვრება
და სოფლის ჩანგზე ვმღერია.

მთქმელი — რ. სონღულია (66 წ.),
ჩამწერი — ბესიკ სონღულია,
წალენჯიხის რაიონის სოფ. ობუჯის
საშუალო სკოლა, VI კლასი.

## რევოლუციონერი პატიმრის ლექსი

მეტეხის ციხევ, ტიალო,
ნაგებო ლურჯი ქვისაო,
გარს გალავანი გარტყია
[illegible]ნის და ფოლადისაო,

მორევი [illegible]მოგტალღვია
აზვირთებული მტკვრისაო.
ჩამომიყვანეს ქალაქში,
ჩამომყვა შუქი მზისაო,

ხელი მკრეს, ციხეს შემაგდეს,
დამადგნენ თოფებითაო,
მწყემსობას რად არ დასჯერდი,
რატომ გვებრძოდი ხმლითაო.

პროკლამაციებს ფანტავდი,
დამხობა გსურდა მეფისო,
შუბლს გაგიხვრეტავთ ტყვიითა,
ან ჩამოხრჩობა გელისო,

ორშაბათ დილას სარკმლიდან
გადმოვიხედე ძირსაო,
რას ვხედავ: ცხვრებით ავსილა
ქუჩები ქალაქისაო.
თქვენი ჭირიმეთ, ვაცებო,
თქვენი მარწუხი რქისაო,
თქვენ მიიჩქარით მთებისკენ,
პატრონი აქა ზისაო,
მალე დავამხობთ მჩაგვრელებს,
შუქი გამათბობს მზისაო.

მთქმელი — ანიკო გაცანაძე (62 წ.),
ჩამწერი — მედეა გაინდუროვი,
თელავის რაიონის სოფ. ნაფარეულის
საშუალო სკოლა, X კლასი.

## მწყემსის სიმღერა

მწყემსი ვარ, ფარას ვდარაჯობ,
თანაც შაირებს ვიგონებ,
თუგინდ არ მქონდეს ქაღალდი,
ქვაზე ამოვკვეთ სტრიქონებს.

დავბერდი, კაი ხნისა ვარ,
წლებმა თავს გადამიქროლეს,
ისევ მაგრად ვარ, ისევა,
ჭაღარა გულს ვერ მიღონებს.

შრომით და გარჯით ავმაღლდი,
როგორც უშბა და მყინვარი,
ზაფხულში მთების ძმობილსა,
ზამთარში მიხმობს ყიზლარი.

მწყემსი ვარ კოლექტივისა,
ზღვასავით მიდგა[illegible] ფარები,
გული სიამით მე[illegible]ება,
ბერ არწივს შევე[illegible]არები.

მთქმე[illegible]ი — გი[illegible]ბი მარცვალაშვილი,
ჩამწერი — გოჩა რაზიკაშვილი.
დუშეთის რაიონის მაღაროსკარის საშუალო სკოლა, X კლასი.

## ანდაზები

1. მეტისმეტი სიხარბით მელამ კუდი მოიჭამაო.
2. კაცი კაცის ბოძიაო.
3. კაცი რომ ჭკვიანს დაუჯერებს, იმას სულელი არ ეთქმისო.
4. მეგობრობის გზა მეგობარს არ დაეკარგებაო.
5. ნუგეში მაგარი ყავარჯენიაო.

მთქმელი — მ. მჟავია,
ჩამწერი — ლენა ჩანქსელაძე,
მახარაძის რაიონის კონჭკათის საშუალო სკოლა, IX კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამოცანები

1. შავი არის შაშვივითა, შეიჭმევა ტაფლივითა. (მაყვალი)
2. ხე ვარ, ხე მრუდად გაზრდილი, ვერ შემომწვდება ნადირი, მესტუმრე სექტემბერშია, თუ გსურს გაჭამო სადილი. (ლეღვი)
3. ტყავი ფასობს, ხორცი არა, ქათამს ნატრობს წარამარა. (მელია)
4. ხარი არ არის — რქები აქვს, ვირი არ არის — კურტანი ჰკიდია. (ლოკოკინა)

მთქმელი — საბედა ოდიშვილი,
ჩამწერი — ნანა ელოშვილი,
ლენინგორის რაიონის სოფ. ბალანის რვაწლიანი სკოლა, III კლასი.

## ცხვარი ამარცხებს სიღარიბეს

იყო ერთი ღარიბ-ღატაკი კაცი. ერთხელ ტყისკენ მიდიოდა მხარზე თოფგადაკიდებული: იქნებ ხოხობს გადავაწყდე სადმე და სადილი გავიჩინოო. უცებ მგელი დაინახა, ზურგზე ცხვარი მოეგდო და მიძუნძულებდა. ესროლა თოფი. მგელი დაიჭრა, ტვირთი მიატოვა და თვითონ თავს უშველა. მივარდა კაცი და ცოცხალი ცხვარი შერჩა ხელში. წაიყვანა შინ, ცხვარი სახლში შევიდა და რა დაინახა: არის სიღარიბე ურცხვად გამოჭიმული. გაბრაზდა. ფეხი დაუბაკუნა: გამეცალე, აქ შენი ადგილი აღარ არისო. მერე ერთ კუთხეში კრავები დაყარა, მეორეში მატყლი, მესამეში ყველი, მეოთხეში კი თვითონ დადგა. სიღარიბემ იკადრა და გაიძურწა გარეთ.

მთქმელი — სოფიო ხითარიშვილი, (90 წ.),
ჩამწერი — მაია ხითარიშვილი,
ვალეს 1-ლი საშუალო სკოლა, IX კლასი.

## უსულგულო მებატონე

ჩვენი სოფლის ერთ მდიდარ თავადს მსახურად მეტად გულუბრყვილო გლეხკაცი ჰყოლია. მას თურმე ნიკოკა ერქვა. ერთხელ თავადს ნიკოკასთვის უთქვამს: ხვალ დილით სვანეთში უნდა გაგაგზავნო მეგობარ მებატონესთანო. ნიკოკა ამდგარა და იმ დღესვე წასულა, რისთვის მიდიოდა, ეს კი არ სცოდნია. მისულა სვანეთში ბატონთან. მას უკითხავს, რისთვის გამოგგზავნესო? ნიკოკა რას უპასუხებდა, რაც არ იცოდა? ბატონი მიმხვდარა, რა კაცთანაც ჰქონდა საქმე და უთქვამს: მე ვიცი, რისთვისაც გამოგგზავნიდნენო. ტომარაში ვეებერთელა ლოდი ჩაუდევს, ნიკოკასთვის ზურგზე მოუკიდნია, თანაც დაურიგებია: შინამდე ისე იარე, ტვირთი არამცდაარამც არ ჩამოიღოო. ნიკოკასაც შეუსვენებლივ ჩამოუტანია ლოდი სვანეთიდან, მაგრამ სული ძლივსღა მიჰყოლია შინამდე.

მთქმელი მატრონა გოლოძე (77 წ.),
ჩამწერი ლალი ერგელიძე,
ცაგერის რაიონის ლაილაშის საშუალო სკოლა, VII კლასი.

## რატომ დაერქვა არალი?

ადიგენის რაიონში არის ბუნებით შემკობილი და ხილ-ბოსტნეულით მდიდარი სოფელი არალი. ამ სოფელს წინათ სხვა სახელი რქმეოდა. ჰოდა, ძნელბედობის ჟამს მესხეთ-ჯავახეთს ურიცხვი დამპყრობელი დასხმია თავს, დიდი ზიანი მიუყენებია ამ კუთხისათვის, ხსენებული სოფელი კი მთლიანად გაუნადგურებია. დამპყრობლები რომ განუდევნიათ და მშვიდობიანობა ჩამოვარდნილა, იქ ორ მგზავრს გაუვლია. ერთ მათგანს თურმე ენა ეჩლიქებოდა, „რ"-ს მაგივრად „ლ"-ს ამბობდა: აქ სოფელი „არალი"-ო, უთქვამს, ამის შემდეგ დარქმევია არალი.

მთქმელი — როზა გათმანაშვილი,
ჩამწერი — მერაბ გათმანაშვილი,
ადიგენის რაიონის სოფ. არალის საშუალო სკოლა, VII კლასი.

ელენე ნადირაშვილი

## გულადი ყვავილი

თეას ციცქნა ყვავილებით
აუვსია კაბის კალთა.
— პაპა, რქები რომ არა აქვს,
რატომ ჰქვია ყოჩივარდა?
— იმიტომ, რომ ზამთარს ებრძვის
გაზაფხულის ცისფერ კართან.

## ბებოს თორნე

იწვის ფიჩხი, ბებოს თორნე
აგიზგიზდა, აზრიალდა.
ო, რამდენი შოთი ცხვება,
ო, რა სუნი დატრიალდა.
მურა ჩუმად დასუნსულებს
და მამალიც დააბოტებს,
ქალაქური პურის შემდეგ
რა სჯობია ბებოს შოთებს!

## დედისერთას ზალაჭირი

ჰა, დანდალა, დანდალა,
მთაში თოვლი დამდნარა,
თაფლს ეძებდა დათუნა,
ტორი მოაფათურა.
დაესია ფუტკარი,
დაედევნა ჯარადა;
დაბზრიალდა დათუნა,
ეს რა დღეში ჩავარდა!

—დედისერთა ბიჭი ვარ,
თქვენს დედას ჰყავს რამდენი?!
ან რა თაფლი გეყოფათ,
რა ფიჭა და სანთელი?!
ზუზუნებენ ფუტკრები
მამაცური იერით:
— ბევრი რომ ვართ, ბიჭავო,
მიტომა ვართ ძლიერი.

დედამ ბევრი დაგვზარდა,
შრომას როდი დაგვზარდა,
ჩვენც ვუმადლით, ვუბრუნებთ
სიტკბოს ერთი ასადა.
შენც ეს სიბრძნე ნაიღე,
შენი ტყავის ფასადა.



# დიდი გამოცანა

პეტერ კლემი

მხატვარი დ. ზარაფიშვილი

1913 წლის 29 სექტემბრის საღამო იყო. ანტვერპენის ნავსადგური ბინდს მოეცვა. ჩამოწოლილ ნისლში ძლივს ატანდა ლამპიონების სინათლე. თბომავალი „დრეზდენი" საყვირის გამყივანი ხმით გამოემშვიდობა ქალაქს და გეზი ინგლისისაკენ აიღო.

მგზავრებმა გემის კაიუტებსა და სალონებს მიაშურეს. თითო-ოროლა თუ შემორჩა გემბანს.

მოაჯირთან სიცივისაგან აძაგძაგებული შუახნის კაცი შეჩერდა. შავ ლაბადაში გახვეულიყო, შუბლზე ფართოფარფლებიანი ქუდი ჩამოეფხატა.

— დასწყევლოს ღმერთმა ეს ღამე, — ფიქრებიდან გამოარკვია უცნობმა ხმამ შავლაბადიანი. — მართლაც რომ გამომშვიდობებისათვის შესაფერი ამინდია. ნება მომეცით, წარმოგიდგეთ: მაგნუს მიულერი გახლავართ, საქმეების მოსაგვარებლად ინგლისს მივემგზავრები.

— სასიამოვნოა. ჩემი სახელი რუდოლფ დიზელია, — თავაზიანად უპასუხა შავლაბადიანმა.

— დიზელი! თქვენ ის ცნობილი გამომგონებელი ხომ არ ბრძანდებით? — დაინტერესდა მაგნუს მიულერი და როცა დასტურის ნიშნად თავი დაუქნიეს, დაუმატა: — ბედნიერად ვთვლი თავს, რომ თქვენ გაგიცანით და თან სასიამოვნო თანამგზავრიც შევიძინე.

დიზელიც კმაყოფილი ჩანდა, თანამოსაუბრე რომ იპოვნა. ერთხანს მაინც დააღწევდა თავს შავ ფიქრებს.

— თქვენ, ალბათ, — თქვა მაგნუს მიულერმა, — პარიზი თქვენი სახელგანთქმული დიზელის ძრავასავით გეცოდინებათ!

— რა გასაკვირია? — გაეღიმა დიზელს. — იქ დავიბადე და გავიზარდე. მამაჩემი ხელოსანი იყო. მშობლიური აუგსბურგიდან წამოვიდა და ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ დასახლდა პარიზში. იქვე დაქორწინდა, დედაჩემთან ერთად ტყავის მოდურ ნაკეთობათა პატარა სახელოსნო გახსნა. ჩვენ, ბავშვებიც, ვეხმარებოდით მშობლებს. მიუხედავად ამისა, ხელმოკლედ ვცხოვრობდით.

— გამოდის, რომ მშვენიერ პარიზთან მძიმე ბავშვობა გაკავშირებთ.

— ო, არა, — ფიცხლად გამოეპასუხა დიზელი. — სწორედ პარიზში გადაიშალა ჩემს თვალწინ ტექნიკის დიდი სამყარო. ცხრა წლისა ვიყავი, როცა მამამ პარიზის მსოფლიო გამოფენაზე წამიყვანა. რაღა არ ვნახე იქ: მისაბმელი აეროსტატი, გემები, მანქანები, პირველი ფოტოსურათები... განსაკუთრებით უზარმაზარი ორთქლის მანქანები მომეწონა. შემდეგ მამამ მაჩვენა მსოფლიოს უძველესი ტექნიკის მუზეუმი, რომელიც პარიზის ერთ ძველ ტაძარში იყო მოწყობილი. ეს მუზეუმი ახლაც ძალზე მიზიდავს. მე შევეცადე, ჩავწვდომოდი იქ გამოფენილ მანქანათა მუშაობის პრინციპებს და გადავიხატე ისინი. სახლში კი მათი მოდელი ავაგე. ასე ადრიანად გამიტაცა ტექნიკამ. სწორედ მაშინ მტკიცედ გადავწყვიტე, ინჟინერი გამოვსულიყავი.

მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ ეს იოლი იყო. მამაჩემს სულ სხვა გეგმები ჰქონდა. თორმეტი წლისა რომ შევსრულდი, აუგსბურგში ნათესავებთან გამგზავნა ვაჭრობის შესასწავლად. მაგრამ მე ჩემი გავიტანე და სახელოსნო სასწავლებელში შევედი, რომლის დამთავრების შემდეგ მიუნხენის უმაღლეს სკოლაში მანქანათმშენებლობა შევისწავლე, თან ვმასწავლებლობდი და სწავლის ფულს იმით ვშოულობდი.

— ალბათ ბავშვობიდან გამოგყვათ ბეჯითობა, — ჩაურთო მაგნუს მიულერმა.

— ადრევე გადავწყვიტე, ყოველგვარი სიძნელის მიუხედავად, მიმეღწია მიზნისათვის, ამაში ჩემი მასწავლებელიც, უმაღლესი ტექნიკური სკოლის პროფესორი ფონ ლინდენიც ძალზე მიწყობდა ხელს. მან ჩვენ, სტუდენტებს, ბევრი ცხოვრებისეული გაკვეთილი მოგვცა. ერთთავად გვაფრთხილებდა, მიღწეულს არ დასჯერდეთ და მუდამ უკეთესი ეძიეთო. ერთ მაგალითს დაგისახელებთ: ჩვენ, ყველანი, აღტაცებული ვიყავით ორთქლის მანქანით. მან კი პირველმა ჩაგვაგონა, რომ ეს ამოდენა გოლიათი მეტისმეტად მცირე სიმძლავრისა იყო, რომ იგი ნახშირის წვით გამოყოფილი სითბოს მხოლოდ 15-20 პროცენტს აქცევდა სიმძლავრედ, დანარჩენი კი უსარგებლოდ

იკარგებოდა. ჩვენც ვცდილობდით, მარგი ქმედების კოეფიციენტის ზრდით გაგვეუმჯობესებინა ორთქლის მანქანა.

— თავად თქვენ, — გააწყვეტინა თანამოსაუბრეს მაგნუს მიულერმა, — მისი საუკეთესო სტუდენტი, ახლოსაც არ გაკარებიხართ ორთქლის მანქანას, ხომ ასეა?

— დიახ, ასეა... — მიუგო დიზელმა. — მაგრამ ოთქლის მანქანაზე ფიქრში ახალი იდეა გამიჩნდა... გადავწყვიტე, არარენტაბელური ორთქლის მანქანა სრულიად ახალი სახის ძრავათი შემეცვალა, რომელსაც არც ორთქლი დასჭირდებოდა და არც ამ ორთქლის მისაღებად საჭირო ქვაბი. და აქაც გამომადგა ჩემი პროფესორის ცხოვრებისეული დარიგება: ტექნიკურ პრობლემებთან მეცნიერული მიდგომაა საჭირო, — ამბობდა ხოლმე ხშირად.

— ეს როგორ უნდა გავიგოთ? — დაინტერესდა მიულერი.

— აი, როგორ: ზოგიერთი გამომგონებელი უგეგმოდ მიჰყვება ძიებას იქამდე, ვიდრე შემთხვევით არ მიაგნებს პრობლემის საჭირო გადაწყვეტას. მეცნიერულ დონეზე მომუშავე გამომგონებელი კი ითვალისწინებს, თუ როდის რა იქნა აღმოჩენილი, აკონკრეტებს, ბუნების რომელი კანონის გამოყენებაა უფრო მიზანშეწონილი დასახულის მისაღწევად. მე შევადგინე ჩემი ძრავას პროექტი, ავწერე და დავაზუსტე იგი სიტყვიერადაც და ნახაზებშიც, ვიდრე მის აგებას შევუდგებოდი.

— ყველაფერი, რასაც თქვენ ყვებით, ძალზე საინტერესოა, — მოწიწებით თქვა მაგნუს მიულერმა. — სიამოვნებით მოვისმენდი, როგორ მიხვედით თქვენი იდეის გადაწყვეტამდე, ბატონო დიზელ.

— ო, ეს გრძელი გზა იყო. თავდაპირველად ჩემი მუშაობა სულ სხვა მიმართულებით წარიმართა, მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ მივხვდი, რომ ჩიხში მოვემწყვდიე.

— ღმერთო ჩემო! მთელი ექვსი წლის შრომამ უნაყოფოდ ჩაგიარათ? სწორ გადაწყვეტილებას როგორღა მიაგენით? — მოუთმენლად იკითხა მაგნუს მიულერმა.

— დიდი ფიქრისა და მრავალი ცდის შედეგად, თანაც გავიხსენე წნეხური კვესის ეფექტი — სკოლაში ჩატარებული ცდა: ზემოდან და ქვემოდან გადაკეტილ ცილინდრში ჰაერტუმბოს მსგავსად დგუშის ჰოკი და დგუში გვქონდა ჩადგმული. ჩამოვკრავდით დგუშს მთელი ძალით და ცილინდრში ჩატუმბული ცხელი ჰაერის ზემოქმედებით ცეცხლი გაუჩნდებოდა აბედის პატარა ნაჭერს. ამან მაფიქრებინა, აბედის ნაცვლად ცილინდრში ცოტაოდენი ბენზინი ან ნავთი შემეყვანა, მაშინ ცეცხლი უფრო ადვილად გაჩნდებოდა, გაზის წნევა სწრაფად აიწევდა და დგუშს ზევით აისვრიდა. ამ ბენზინს თუ ნავთს, რა თქმა უნდა, წმინდა სახით შევიყვანდი შეკუმშულ და თანაც ძალზე გახურებულ ჰაერში. აი, ასე მივაგენი, ბატონო მიულერ, ჩემი ძრავას მუშაობის პრინციპს.

— მაგრამ ამით, ალბათ, ყველა პრობლემა არ გადაჭრილა, ხომ?

— რა თქმა უნდა! იდეიდან დასრულებულ გამოგონებამდე ბევრი მუშაობისა და ძიების გზა დევს, მე კი ჩემი ძრავას ასაგებად არც ფული მქონდა და არც სახელოსნო. იდეის განხორციელება შეიძლებოდა მხოლოდ ტექნიკურად სრულყოფილ ქარხანაში — ძრავას ხომ არნახული, უჩვეულოდ დიდი წნევით უნდა ემუშავა. ჩემი გამოგონებით დაინტერესდნენ კრუპის ქარხნები და აუგსბურგის მანქანათმშენებლობის ქარხანა. რა თქმა უნდა, მომთხოვეს, რომ პატენტი მათთვის დამეთმო.

— თქვენც დაუთმეთ? — ხელი ხელს შემოჰკრა მაგნუს მიულერმა.

— დიახ, სამწუხაროდ. ეს დიდი შეცდომა იყო. მაგრამ ასე იმისთვის მოვიქეცი, რომ ერთი სული მქონდა, ბოლოს და ბოლოს ამეგო ჩემი ჩაფიქრებული ძრავა. ენერგიულად შევუდექი მუშაობას, უნდა ჩამეტარებინა უამრავი ცდა და გამოთვლა, გამომეჩარხა სხვადასხვა რთული დეტალი. ბოლოს, 1898 წელს, ხანგრძლივი შრომისა და ტანჯვა-წამების შედეგად, როგორც იქნა, შევძელი ჩემი ძრავას წარდგენა მიუნხენის სამუშაო მანქანებისა და ძრავების გამოფენაზე. ეს იყო ჩემი ტრიუმფი. მართლაც, ადამიანის ხელით შექმნილ არც ერთ ძრავას არ შეეძლო იმის მიღწევა, რასაც ჩემი ძრავა ახერხებდა. მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი ხომ სრულ 32 პროცენტს შეადგენდა, და ეს მაშინ, როცა ორთქლის მანქანის მქკ მხოლოდ 15 პროცენტს აღწევდა.

— ეს შესანიშნავია! — შესძახა მიულერმა. — ბატონო დიზელ, როგორ წარიმართა ამის შემდეგ თქვენი ურთიერთობა კომპანიონებთან?

— ცუდად, — მწარედ ჩაეცინა რუდოლფ დიზელს. — მათ ვერაგულად ჩამომაცილეს საქმეს. მუშაობა მაინც არ შემიწყვეტია, შემდეგ მიუნხენში საკუთარი საკონსტრუქტორო ბიურო გავხსენი.

— თქვენი წარმატება კოლოსალურია, — დაასკვნა მიულერმა. — დღეს მთელ მსოფლიოში დიზელის ძრავათი მუშაობენ ლოკომოტივები, ელექტროსადგურები, ოკეანის ლაინერები.

დიზელმა არაფერი უპასუხა.

„ალბათ დაიღალა ჩემთან საუბრით“, — გაიფიქრა მაგნუს მიულერმა და მოწიწებით გამოემშვიდობა გამომგონებელს.

დიზელი ისევ მარტო დარჩა. ასეა, — ფიქრობდა იგი, — ჩემმა ძრავამ ტრიუმფით შემოიარა მსოფლიო. მრავალი საქმოსანი ახლაც მდიდრდება მისი მეშვეობით, მე კი, მისი გამომგონებელი, გაჭირვებისაგან სულს ვღაფავ, როგორც ყოველთვის, ახლაც მოტყუებული დამტოვეს, დანაზოგიც გამომელია. ზეგ ვადა გაუდის დიდ პროცენტიან ვალს, მე კი გროშიც არა მაქვს მის გადასახდელად. ისევ საშინელი სკანდალი ატყდება...

მეორე დილით მოაჯირთან დიზელის ქუდი და ლაბადა იპოვნეს. რუდოლფ დიზელი აღარ იყო გემზე. საწოლიც ხელუხლებელი დახვდათ მის კაიუტაში, წერილიც კი არ დაეტოვებინა... მხოლოდ კალენდარში 29 სექტემბრისათვის ფანქრით ჯვარი გადაესვა...

გერმანულიდან თარგმნა მედეა კოდუა 

მოდით, დღევანდელი საუბარი ლენინური ბეჭდვითი სიტყვის ბიოგრაფიის გაცნობით დავიწყოთ.

...1912 წლის 22 აპრილს (5 მაისს) გამოვიდა გაზეთ „პრავდის" პირველი ნომერი. ამ გაზეთის გამოსვლით იწყება მარქსისტული ბეჭდვითი სიტყვის განვითარების ახალი ეტაპი. ამიტომაც აღინიშნება საბჭოთა პრესის დღე ჩვენი მთავარი პარტიული გაზეთის დაბადების დღეს — 5 მაისს. გახსოვთ, შარშან გაზეთ „პრავდის" პირველი ნომრის გამოსვლის 70 წლისთავი რა ზეიმით აღინიშნა!? ბევრმა რაზმეულმა ამ თარიღს სპეციალური კედლის გაზეთები მიუძღვნა.

ბეჭდვითი სიტყვის დღისათვის თქვენ შეგიძლიათ სოფლისა თუ ქალაქის საბავშვო ბიბლიოთეკებში ბიბლიოთეკარების დახმარებით მოაგროვოთ „პრავდისა" და სხვა გაზეთების წინა წლების ნომრები, გააკეთოთ საგულისხმო მასალების ამონაჭრები და მოაწყოთ გამოფენები.

შეიძლება ბევრმა პიონერმა არ იცის ადგილობრივი — მშობლიური ქალაქისა თუ რაიონის, რესპუბლიკის თუ ქვეყნის ჟურნალ-გაზეთების, კერძოდ, პიონერული ჟურნალ-გაზეთების ისტორია. ამიტომ რაზმეულის საბჭოების მოვალეობაა წითელკვალისმაძიებელთა დახმარებით 5 მაისისათვის შეაგროვონ მასალები ამ გაზეთებისა და ჟურნალების შესახებ, მოაწყონ ექსკურსიები საქალაქო და რაიონული თუ რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, სტამბებში; შეხვდნენ რედაქციების მუშაკებს, სტამბის მუშებს, ხოლო ამ საძიებო მუშაობისა და საინტერესო შეხვედრების შემდეგ კარგი იქნება მოაწყონ გამოფენა: „ბეჭდვითი სიტყვის დღე".

ჩვენი რესპუბლიკის ბავშვებთან ყველაზე ახლოსაა გაზეთი „ნორჩი ლენინელი", ჟურნალები: „პიონერი", „დილა", „ამცაბზი" (გამოდის აფხაზურ ენაზე), საკავშირო გაზეთი „პიონერსკაია პრავდა", საკავშირო ჟურნალები: „პიონერ", „მურზილკა", „კოსტიორი"...




# მახვილი თვალი, ბასრი კალამი და გულისხმიერება

ვფიქრობთ, პიონერებისათვის საინტერესო იქნება იმის გაგება, თუ რაზე წერდნენ ეს გაზეთები და ჟურნალები ამ ოცი-ოცდაათი წლის წინათ. ამ საქმეში დაგეხმარებათ ბიბლიოთეკები, სადაც ყველა გამოცემა წლების მიხედვით არის აკინძული.

შეგიძლიათ აგრეთვე ჩაიწეროთ გამომცემლობების მუშაკთა ნაამბობები, მოგონებები, ლექსები; პიონერულ აგიტბრიგადას ზეპირი ჟურნალისა თუ გაზეთის მომზადებაც შეუძლია, გარდა ამისა, კარგი იქნება მოეწყოს რაზმის კედლის გაზეთების გამოფენა.

ბეჭდვით სიტყვას დიდი ძალა აქვს. ის ჩვენს ხალხს ეხმარება, ახალი წარმატებები მოიპოვოს კომუნიზმის მშენებლობის გზაზე. საბჭოთა პრესის მოწინავეთა რიგებში დგანან პიონერული ჟურნალ-გაზეთებიც. ისინი მკითხველებს ასწავლიან სამშობლოს სიყვარულს, უნერგავენ ინტერნაციონალიზმის გრძნობას, ამზადებენ კომუნისტური საზოგადოების აქტიური წევრობისთვის. მათი საშუალებით მკითხველები გებულობენ, თუ როგორ მიაბიჯებს ჩვენი ქვეყნის პიონერია, მისი საუკეთესო ნაწილი—მარჯვენაფლანგელები პიონერული მარშის სიმაღლეთა დასალაშქრავად.

ჩვენი პიონერული ჟურნალ-გაზეთები ასწავლიან პიონერებს, როგორ აუწყონ ფეხი წინა თაობათა პიონერებს.

ის არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და აგიტატორია, არამედ პიონერული საქმეების საუკეთესო ორგანიზატორიც. პიონერული გაზეთები და ჟურნალები მრავალი საინტერესო მასობრივი ღონისძიების, თამაშის, რეიდის, ლაშქრობის, ექსპედიციის, ოპერაციისა და აქციის მოთავედ და ჩამტარებლად გვევლინებიან.

ბავშვები ყოველთვის აქტიურად ეხმაურებიან პიონერული პრესის ყველა გამოსვლას. მაგრამ დამოუკიდებლად, უფროსების დაუხმარებლად მათ ყოველთვის როდი შეუძლიათ ამა თუ იმ საინტერესო საქმის წამოწყება-გადაწყვეტა. როგორც გამოუცდელ მკითხველებს, მათ ზოგჯერ უჭირთ გაზეთზე ან ჟურნალზე დამოუკიდებელი მუშაობა, ამიტომ, რაზმეულის საბჭო, კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიები პიონერხელმძღვანელის დახმარებითა და პიონერებთან ერთად არჩევენ მასალებს, რომლებიც, მათი აზრით, საერთო განხილვას მოითხოვენ; ისინი ეხმარებიან ბავშვებს, ჩაერთონ პიონერული ჟურნალ-გაზეთების მიერ გამოცხადებულ კონკურსში, ექსპედიციაში, თამაშში და ასე შემდეგ.

5 მაისისათვის მზადება სასწავლო წლის დასაწყისიდანვე უნდა მიმდინარეობდეს, ხოლო უშუალოდ პრესის დღე საზეიმოდ უნდა აღინიშნოს. მოეწყობა კონფერენციები ჟურნალისტების, მხატვრების, მწერლების, სტამბის მუშების მონაწილეობით. სასურველია, ამ დღეს აღინიშნოს ყველაზე უკეთესი, ყველაზე აქტიური ნორჩკორის, მხატვრის, რედაქტორის მუშაობა, მიზანშეწონილია მათი წახალისება-დაჯილდოება.

გახსოვდეთ: სსრ კავშირში 154 მილიონ ეგზემპლარზე მეტი გაზეთი გამოდის; საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოსცემს 132-ზე მეტ კომკავშირულ გაზეთს, 70 ახალგაზრდულ და საბავშვო ჟურნალს, 28 პიონერულ გაზეთს. მათი ტირაჟი

70 მილიონ ეგზემპლარზე მეტს შეადგენს.

ჩვენ შეჩვეულები ვართ, რომ დილით ფოსტალიონს ახალი ჟურნალ-გაზეთები მოაქვს, ვკითხულობთ და ვეცნობით სიახლეებს. მაგრამ იყო დრო, როცა სიახლეთა შეტყობა არც ისე ადვილი იყო.

...სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მუზეუმში ინახება პატარა ფორმატის გაზეთი „ოკოპნაია პრავდა“. მას პიონერი ვალერი ვოლკოვი უშვებდა. ეს უბრალო რვეულის ფურცლები სევასტოპოლთან მებრძოლი საბჭოთა არმიის გმირული ბრძოლების ეპიზოდებს მოგვითხრობს.

სევასტოპოლის ერთ-ერთი სკოლის ახლოს მდებარე სიმაგრეს მებრძოლთა ათეული იცავდა. მათ შორის იყო ვალერიც, რომელსაც მანამდეც ჰქონდა ბრძოლებში მონაწილეობა მიღებული. სიკვდილის წინ ვალერი თავის გაზეთში წერდა:

„ძვირფასო ათეულო! თუ ჩვენს შორის ცოცხალი დარჩება ვინმე, უამბოს იმათ, ვინც ამ სკოლაში ისწავლის, რაც აქ, სევასტოპოლში მოხდა; სადაც არ უნდა იყოს, ჩამოვიდეს და ყველაფერი მოუთხროს ჩვენი ქალაქის ბავშვებს.

მე მინდა ჩიტად ვიქცე და გადავუფრინო მთელ სევასტოპოლს, მის ყოველ სახლს, ქუჩას და ყოველ სკოლას“...

ათასობით საბრძოლო ფურცელი გამოდიოდა სამამულო ომის მრისხანე დღეებში იატაკქვეშ თუ ბრძოლის წინა ხაზზე, პარტიზანულ რაზმებში.

დღესაც ფაბრიკების, ქარხნების საამქროებში, მინდვრებზე, სამეცნიერო დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში და სკოლებში ძალიან გვჭირდება გაზეთი, რომელიც ერთ ეგზემპლარად გამოდის, — კედლის გაზეთი, გაზეთი, რომელსაც შესწევს უნარი აგვაღელვოს, აგვანთოს, გაგვიძღვეს.

„არ დავნებდებით!“ — ასე ერქვა გაზეთს, რომელსაც ჩელუსკინელები თავიანთი ლეგენდარული დრეიფის დროს ჩრდილო ყინულოვან ოკეანეში უშვებდნენ. გაზეთი სამ თვენახევარს უნარჩუნებდა პოლუსის დამპყრობთ გმირულ სულს. მისი ბოლო ნომერი ასეთი სათაურით გამოვიდა: „არ დავნებდით!“

კედლის გაზეთი გამოდის ყველგან — სკოლაში, ეზოში, პიონერთა ბანაკში, წრეებში; მისი გამოშვება შეიძლება ლაშქრობის, „ცისკრის“ ასპარეზობის დროს, შაბათობაზე, იმ სახელწოდებით, რომელსაც თვითონ ბავშვები, თქვენ მოიფიქრებთ.

როგორ გავაკეთოთ, რომ რაზმისა თუ რაზმეულის გაზეთის გამოშვება ზეიმად იქცეს, რომ ყველა მოუთმენლად ელოდეს მის ბასრ და საინტერესო გამოსვლას, რომ კედლის გაზეთი რგოლის, რაზმის, რაზმეულის მხარდამხარ მიაბიჯებდეს და ცოტათი წინაც კი უსწრებდეს მათ? ამისათვის რაზმეულის საბჭოს თაოსნობით პიონერული აქტივის სკოლების მეცადინეობებზე უნდა ტარდებოდეს საუბრები.

ნორჩი კორესპონდენტებისათვის და პიონერული კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებისა და აქტივისტებისათვის შეიძლება მოეწყოს გამოცდილების გაზიარება, გამოცხადდეს კონკურსი საუკეთესო კედლის გაზეთზე და ა. შ. უთუოდ ინტერესს გამოიწვევს კონკურსი საკავშირო თუ რესპუბლიკურ პიონერულ ჟურნალ-გაზეთებში გასაგზავნ საუკეთესო წერილზე, ჩანახატზე, ლექსზე. სასურველია ჩატარდეს პრობლემური საუბარი-დისკუსია — „ვისწავლოთ ფიქრი, კამათი, დამტკიცება“, მოეწყოს ნორჩკორთა შეხვედრები ჟურნალისტებთან მრგვალი მაგიდის ირგვლივ, რაზმეულში გაიმართოს პიონერული პრესის დღეების კვირეული პიონერული და საბავშვო ჟურნალ-გაზეთების რედაქციათა მუშაკების მონაწილეობით, ჩატარდეს ნორჩკორთა შემოქმედებითი კონკურსები: „ძივლინების ბარათი — ნორჩკორს“.

ამ დღეებში შეიძლება თვალსაჩინო ადგილზე გაიკრას ნორჩკორის სამახსოვრო:

ნ ო რ ჩ კ ო რ ი იბრძვის, როგორც გმირი, ნაკლოვანებების წინააღმდეგ.

ნ ო რ ჩ კ ო რ ი ყველა მოვლენის საქმის კურსშია, მისი დევიზია: სამართლიანობა, სიზუსტე, ოპერატიულობა.

ნ ო რ ჩ კ ო რ ი პრინციპულია, კრიტიკას მიმართავს გაბედულად და საქმის ინტერესებიდან გამომდინარე.

ნ ო რ ჩ კ ო რ ს მახვილი თვალი აქვს და ბასრი კალამი, იგი გულისხმიერია.

ნ ო რ ჩ კ ო რ ი, თუ საჭიროა, დაგეხმარება, არასოდეს გიღალატებს.

ნ ო რ ჩ კ ო რ ი რომანტიკოსია, ფანტაზიორია.

ნ ო რ ჩ კ ო რ ი ასრულებს რედაქციის დავალებას, აწყობს რეიდებს, მკითხველთა კონფერენციებს, მიმართავს რედაქციას შეკითხვებით.

ნ ო რ ჩ კ ო რ ი წერს ყველაზე საინტერესო საკითხებზე.

ამ დღეებშივე შეიძლება ჩატარდეს ნორჩკორებისათვის განკუთვნილი ვიქტორინა, რომლის კითხვები შეიძლება ასეც გამოიყურებოდეს: როდის გამოვიდა „პიონერსკაია პრავდას“ პირველი ნომერი? როდის გამოვიდა გაზეთ „ნორჩი ლენინელის“, ჟურნალების „პიონერისა“ და „დილის“ პირველი ნომრები? სად დაიბეჭდა პირველად არკადი გაიდარის „თემური და მისი რაზმი?“ დაასახელეთ გმირი პიონერი, ნორჩი კორესპონდენტი, რედაქტორი, რომელმაც სევასტოპოლთან გმირობა ჩაიდინა. როდის მოეწყო ნორჩ კორესპონდენტთა პირველი საკავშირო შეკრება არტეკში? ჟურნალ „პიონერის“, გაზეთების „ნორჩი ლენინელისა“ და „პიონერსკაია პრავდას“ რა საინტერესო რუბრიკები იცით?

გახსოვდეთ, ნორჩკორის, კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის ყველა წევრის საბრძოლო დევიზია: სამართლიანობა, სიზუსტე, ოპერატიულობა; ხოლო მათი ერთგული თანაშემწეა მახვილი თვალი, ბასრი კალამი და ადამიანებისადმი გულისხმიერება!

**ნ. ფაილოძე**

# ხასიათი, ნებისყოფა, ყურადღება

არ არსებობს მოსწავლე, რომელსაც ერთხელ მაინც არ მიეცეს თავისი თავისთვის პირობა: ხვალიდან (ან უფრო ხშირად — ორშაბათიდან) ახლებურად ავაწყობ ჩემს რეჟიმს, უფრო მტკიცე ხასიათსა და ნებისყოფას გამოვიჩენ სწავლაში, მუსიკაში, სპორტში... მაგრამ უმეტეს მათგანს ძალზე სწრაფად ავიწყდება თავისი გადაწყვეტილება და ისევ აგრძელებს „თვითდინებით“ ცხოვრებას.

ნებისყოფა რომ გამოვიმუშაოთ, საჭიროა გავიხსენოთ, თუ ხასიათის რა თვისებებთანაა დაკავშირებული ის: ძლიერი ნებისყოფის ადამიანს პირველ რიგში ახასიათებს მიზანდასახულობა, დამოუკიდებლობა და პრინციპულობა, მოთმინება და თავშეკავებულობა, ვაჟკაცობა და გამბედაობა. ასეთ ადამიანს არ უყვარს ყოყმანი წინააღმდეგობათა გადალახვის დროს, ბრძოლისუნარიანია, უკან არ იხევს სიძნელეთა წინაშე.

საინტერესოა, რომ თვითონ ნებისყოფაც სიძნელეების გადალახვით იწრთობა.

ნებისყოფის გამომუშავებისათვის რეკომენდებულია შემდეგი საშუალებები:

— ფიზიკური მუშაობა ან სპორტი;

— საკუთარი სიტყვის, გადაწყვეტილების აუცილებელი შესრულება:

— სიძნელეთა მიმართ შეუდრეკელობა;

— აუჩქარებლობა საუბრისას (დაუფიქრდით ყოველ სიტყვას);

— მუშაობა ყოველგვარ ხელისშემშლელ პირობებში;

— ყურადღების გაუფანტაობა სამუშაოს შესრულებისას;

— მავნე ჩვევებთან ბრძოლა, მათი გადალახვა, პირველ რიგში კი — დილით ადრე ადგომა.

ნებისყოფასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ყურადღების გამომუშავება. ყურადღების აღზრდის საუკეთესო საშუალებაა, სისტემატურად არ მისცე თავს უფლება შეასრულო რაიმე სამუშაო უყურადღებოდ, შეეჩვიო ყურადღებით მუშაობას სხვადასხვა პირობებში.

ქვემოთ მოცემულია მარტივი ელექტრონული სქემა (აწყობა შეიძლება ნებისმიერი ელექტროკონსტრუქტორით), რომლითაც შესაძლებელია მოსწავლის ყურადღების გამოცდა.

ჩვენი წარსულიდან

# გმირი ჭაბუკი

პოლიტიკური მტრებისაგან დევნილი დიდი მოურავი გიორგი სააკაძე იძულებული გახდა ცოლ-შვილითა და თანამოაზრეებით სპარსეთში წასულიყო და იქ ეძია თავშესაფარი.

ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით, რამდენი შვილი ჰყავდა იმ დროს გიორგი სააკაძეს. ერთი კი ცხადია: მშობლებმა თან წაიყვანეს ორი ვაჟი — ავთანდილი და პაატა. ამ შემთხვევაში ჩვენ სწორედ პაატას ბედი გვაინტერესებს.

დღემდე მიკვლეულ ისტორიულ საბუთებში არსად არ ჩანს პაატა სააკაძის სახელი. 1607 წლის სააკაძიანთ მიერ მამულის ნასყიდობის წიგნში ნათქვამია: „წიგნი და სიგელი მოგეცით ჩვენ ჯავახიშვილთა ფარსადან და შერმაზან, თქვენ სააკაძეთა გიორგის, შიოშის შვილთა და თქვენს ძმას ქაიხოსროს და შენს შვილს ავთანდილს“ (იხ. „საქართველოს სიძველეში“ ტ. 2. გვ. 49). პაატა სააკაძე არ იხსენიება არც 1608 წლის 12 ივლისის წყალობის წიგნში: „მეფეთა მეფემა, პატრონმა ლუარსაბ, ესე წყალობის, წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენს ერთგულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმასა, სააკაძესა, ქალაქის ამირათ ამირასა, გიორგისა და ძმასა თქვენსა ქაიხოსროს და შვილსა თქვენსა ავთანდილს და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე“ (იხ. იქვე, გვ. 50).

მაშასადამე, 1608 წლისათვის პაატა სააკაძე ჯერ დაბადებული არ ყოფილა, თორემ იგი მოხსენებული იქნებოდა აღნიშნულ ოფიციალურ დოკუმენტებში.

გიორგი სააკაძე ოჯახითურთ 1620 წელს სამუდამოდ დაბრუნდა სამშობლოში. მათ სრული რვა წელიწადი დაჰყვეს შორეულ სპარსეთში. მიუხედავად იმ დიდი ნდობისა, რასაც შაჰ-აბასი გიორგი სააკაძისადმი იჩენდა, მან მაინც წინდახედული სიფრთხილე გამოიჩინა, პაატა სააკაძე მძევლად დაიტოვა თავის კარზე. შაჰ-აბასის ისტორიკოსი ისკანდერ მუნში წერს: „ერთი მისი ვაჟი (ე. ი. გიორგი სააკაძის ვაჟი, პაატა სააკაძე. ვ. ს.), სახლობით და ნათესავებით იმ ვილაეთში (სპარსეთში) იყო და ყველა მათ დიდი წყალობით და პატივით ეპყრობოდნენ“. (იხ. ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 124).

ისკანდერ მუნშის სიტყვით გამოდის, რომ პაატა სააკაძეს 1625 წლისათვის ცოლი ჰყოლია (სახლობა), რაც დაუჯერებელი არ უნდა იყოს, რადგან მაშინდელი ქართული იურისდიქციით პაატას 16-18 წლისას შეეძლო ცოლი შეერთო.

1625 წლის მარტში გიორგი სააკაძის მიერ მოწყობილი ქართლის მრისხანე აჯანყების შემდეგ, რასაც

ეროვნული ბიბლიოთეკა




ამ სქემით პირველ რიგში შეიძლება შემოწმდეს, მაგალითად, რამდენად ყურადღებიანია ადამიანი, რომელსაც ვანდობთ ავტომანქანის საჭეს.

მოსწავლე და გამომცდელი ერთ ოთახში, ერმანეთისაგან მოშორებით სხედან, გამომცდელი ღილაკის საშუალებით სისტემატურად ანთებს ნათურას, მოსწავლე კი ყოველი ანთების პასუხად თითს აჭერს თავის ღილაკს. 10-15 ანთების შემდეგ გამომცდელი მეორე ღილაკის საშუალებით ერთდროულად მოსწავლეს აძლევს სიგნალს (ზარს) — „არ დააჭირო“. გამოცდის სიხშირე თანდათანობით იზრდება, ვიდრე მოსწავლე არ დაიბნევა და მისი ღილაკი არ გამოვა ყურადღების კონტროლიდან.

„ყველა საქმეში სული უნდა ჩააქსოვო, არ მისცე თავს უფლება მოიეშვა — აი, რა უნდა გახდეს ადამიანის დევიზი. თუ დღეს ერთ პატარა სისუსტეს აპატიებ შენს თავს, ხოლო ხვალ — მეორეს, ზეგ რაიმე გამართლებას მოიგონებ და ბოლოს თითქოსდა მოულოდნელად, აღმოჩნდება, რომ შენი საქმეები ცუდად მიდის. ცხადია, ეს გწყინს და ამაში ადანაშაულებ ყველას: მწვრთნელს, ხელმძღვანელს, უახლოეს ამხანაგს, და გამოდის, რომ მხოლოდ ერთი ადამიანია ყველაფერში მართალი — შენ. ამ დროს არც კი გახსოვს, რომ ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა პირველად მიეცი შენს თავს სისუსტის უფლება“, — აი, რას წერდა ათიოდე წლის უკან ერთ-ერთ ახალგაზრდულ ჟურნალში ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრების სახელოვანი მეკარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლევ იაშინი.

**ომარ შუდრა,**
ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

---

სპარსელთა ჭარბი სამხედრო ძალების განადგურება მოჰყვა საქართველოში, გაბოროტებული შაჰის ბრძანებით გიორგი სააკაძის ვაჟს, პაატას თავი მოჰკვეთეს.

ერთი გადმოცემის თანახმად, თავის მოკვეთის წინ პაატამ ილოცა, სამშობლო ღმერთს შეავედრა და ხმამაღლა წამოიძახა:

„შორსაა ჩემი სამშობლო, საქართველო, მაგრამ ჩემ გულთან განუყრელია. დაე, მოვკვდე სამშობლოსათვის. მშვიდობით, საქართველოვ!“

მწარედ მოთქვამდა ლომგული დიდი მოურავი:

„ქართლისათვის რა ძე დავთმე,
როგორ ტურფა, სასურველი,
ჩემთვის ვარდი მაისისა,
აღარვინ ჰყავს მას იქ მშველი,
წასვლის ღონე არსით ჰქონდა,
ბევრი ჰყავნდა ჯაშუშ-მცველი,
იქ პაატა დამიკარგავს,
აქ არა მყავს გამკითხველი“.

ანტონ ფურცელაძე, რომელიც ძირითადად ხალხური ზეპირსიტყვიერების გადმოცემებს ემყარება, მოგვითხრობს: „რათა გული მოეკლა დიდი მოურავისათვის, შაჰმა სააკაძეს გაუგზავნა თავისი სანატრელი და სიკვდილამდე დაუვიწყარი შვილის, პაატას თავი, გახვეული უბრალო ტომარაში.

სააკაძისათვის არა იყო რა აქ მოულოდნელი, მან კარგად იცოდა, რომ შაჰ-აბასი არ იყო ისეთი კაცი, რომელსაც რისამე წინ დაეხვალებინა.

გახსნა იმან ტომარა და დაინახა უცებ დასახიჩრებული თავი პირმშო და უსაყვარლესი შვილისა, რომელსაც ვერ ივიწყებდა სიკვდილამდის. ძნელია გამოსათქმელად და სჩანს, ჩვენი მემატიანენი არ იყვნენ ისეთი გამომთქმელნი, რომ მოეთხროთ ჩვენთვის, რა ცეცხლმა უელვა სააკაძეს გულში იმ საშინელ სანახავზედ, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ვერც ამ სანახავმა გასტეხა. იმან ცეცხლმოდებული გულით გამოიტირა თავისი პაატა და მიწას მიაბარა ერთაწმინდის ტაძრის ეკვდერში. გაგზავნა ფული ისპაჰანს მისი დანაშთენი გვამის საპოვნელად და მოსატანად, რომელიც გადაეგდოთ სპარსთა ძაღლების შესაჭმელად და რომელიც ჩუმად მოეპარათ ფრანგების მისიონერებს და მიწისთვის მიებარებინათ. ფრანგთა მაშინვე გამოუგზავნეს საიდუმლოთ სააკაძეს თავისი შვილის გვამი და ესეც დამარხა თავისი შვილის თავთან ერთად სამარეში“ (იხ. ანტ. ფურცელაძე, „გიორგი სააკაძე და მისი დრო“, გვ. 178).

თუ დავუშვებთ, რომ პაატა სააკაძე 1608 წლის მეორე ნახევარში დაიბადა, 1625 წელს კი იგი გმირულად შეეწირა საქართველოს, გამოდის, რომ მას 17 წელიწადი უცოცხლია.

პაატა სააკაძის ტრაგიკული ამბავი არა მარტო მახლობელ აღმოსავლეთში გახმაურდა, მან შორეულ ევროპაშიაც ჰპოვა გამოძახილი. დიდი პატივისცემით იხსენებს პაატას თავის ტრაგედიაში „ქეთევან დედოფალი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე“ XVII საუკუნის გერმანელი მწერალი და დრამატურგი ანდრეას გრიფიუსი. პაატას გმირულმა სულმა და თავგანწირვამ არა ერთ ქართველ პოეტს შთააგონა ლექსისა თუ პოემის დაწერა.

**ვახტანგ სიდამონიძე**

# ჭადრაკი

განყოფილებას
ხელმძღვანელობს
საქართველოს სსრ
დამსახურებული მწვრთნელი
შოთა ინწკირველი

გთავაზობთ მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ტიგრან პეტროსიანის მიერ თბილისის პიონერთა სასახლეში ნათამაშევ ერთ-ერთ პარტიას.

## შეტევა მეფის ფრთაზე

ესპანური პარტია
(ჩიგორინის დაცვა)

პეტროსიანი — კაპილოვიჩი

თბილისი, 1942 წელი.

„აუცილებელია ზუსტად და მწვავედ კომბინირების უნარი, რათა უპირატესობა მოგებად გარდაიქმნას“.

ეივე

„გადამწყვეტი კომბინაციები, ისევე, როგორც შორს გამოთვლილი და ღრმად მოფიქრებული შეტევითი გეგმები, თითქოს რაღაც საკვირველებით დაკავშირებულია სუსტ პუნქტებთან“.

ლასკერი

1. e4. e5. 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0—0 კe7 6. ეe1 b5 7. კb3 d6 8. c3 მa5 9. კc2 c5 10. d4 ლc7 11. h3 0—0 12. მbd2 კd7 13. მf1 ეfc8 14. მe3 cd 15. cd მc4 16. მ×c4 bc 17. კd2!

შესანიშნავია! შავუჯროვანი კუ c3-ზე დაიკავებს მეტად ძლიერ პოზიციას, დააწვება d5 პაიკს, ხოლო c4 პაიკის ბლოკირებით და b2 პაიკის დაცვით საფუძველშივე ალიკვეთება შავების კონტრთამაში ლაზიერის ფრთაზე.

თოთხმეტი წლის შემდეგ ასე ითამაშა დიდოსტატმა სმისლოვმა. მაშინ არავინ უწყოდა, რომ კუს ამ მანევრის პირველაღმომჩენი იყო პიონერი, 13 წლის ტიგრან პეტროსიანი. როგორც ვხედავთ, ყმაწვილი ტიგრანი გამოირჩეოდა პოზიციის ღრმა გაგებით. იგი უკვე არა მარტო თეორიის კარგ მცოდნედ, არამედ ანალიტიკოსად და ნოვატორადაც წარმოჩინდება.

17. ... a5 18. კc3 ed 19. მ×d4

თეთრების პოზიციური უპირატესობა უკვე თვალსაჩინოა.

19. ... a4 20. a3 g6 21. ლd2 მe8



თეთრებს უკვე დიდი უპირატესობა აქვთ. შავების პოზიციაში ბევრი სისუსტეა. მათი ფიგურები პასიურად ან სულაც ცუდად არიან განლაგებული. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით თვალში საცემია, საგანგაშოა გაშლილი დიაგონალი a1—h8. მსგავს შემთხვევებში მოჭადრაკე ვალდებულია შეამოწმოს, არსებობს თუ არა გადამწყვეტი გაგრძელება, კომბინაცია, ვიდრე მოწინააღმდეგე მოასწრებდეს თავისი სისუსტეების გამაგრებას. ყმაწვილი ტიგრანი პოულობს პრობლემის ბრწყინვალე კომბინაციურ გადაწყვეტას!

22. მf5!!

მხედრის მოხდენილი შეწირვა არბევს შავი მეფის საფარს. მაქსიმალურად იზრდება თეთრი ფიგურების ძალა-კოორდინაცია.

22. ... gf 23. ef კd8 24. ე×e8!

მშვენიერი პარტიის მშვენიერი ფინალი!

კაპილოვიჩი დანებდა, რადგან 24. ... კ×e8 25. f6! შემდეგ მათი გარდაუვალია.

ნორჩმა მოჭადრაკემ მთელი პარტია ჩაატარა, როგორც ნამდვილმა ოსტატმა!

გასული წლის ოქტომბერში ბათუმში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი მოსწავლეთა შორის. თბილისელმა ოსტატობის კანდიდატმა დავით ლობჟანიძემ მოიპოვა გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ სპეციალური პრიზი საუკეთესო პარტიისათვის.

## შეტევა ცენტრში დარჩენილ მეფეზე

სიცილიური დაცვა
(6. კc4 ფიშერის ვარიანტი)

როგავა
(პირველთანრიგოსანი, თბილისი)

ლობჟანიძე
(ოსტატობის კანდიდატი, თბილისი)

ბათუმი, 1982 წელი.

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 კc4
cd 4. მ×d4 მf6 5. მc3 a6 6.

ნაიდორფის ვარიანტში (5. ... a6) 6. კc4 ფიშერის სვლაა.

6. ... e6 7. კb3 კe7 8. f4 0—0 9. კe3 მbd7 10. ლf3 მc5 11. f5 e5 12. მde2 მ×b3 13. ab b5 14. მ×b5

თეთრებმა პაიკი მოიგეს, მაგრამ შავებს ცენტრში კონტრთამაშის საშუალება ეძლევათ.

14. ... d5 15. ed მ×d5 16. კd2

თუ 16. 0—0, მაშინ 16. ... კb7 17. მa3 ლc7! ან 16. მc3

---

## სიახლენი

### კინო სწავლულთათვის

ზესიჩქარის გადაღება დღეს საჭიროა ყველაზე სწრაფად მიმდინარე პროცესების გადასაღებად. ერთ-ერთი ამერიკული ფირმის სპეციალისტთა მიერ შექმნილი ახალი აპარატი წამში 600 მილიონ კადრს იღებს! მისი საშუალებით შეგვიძლია დავაკვირდეთ, როგორ ვითარდება ბზარები მყარ საგნებში, როგორ წარმოიქმნება ელექტრონული განმუხტვები, აგრეთვე სხვა მოვლენები, რომლებიც ჩვენს თვალს წამიერი ეჩვენება. თუმცა ამ კამერის ფასი ძალზე ძვირია, იაპონიის, გფრ-ს, აშშ-ს და კანადის მსხვილი ფირმები უკვე იძენენ მას.

### ტელეფონი ავტოსტრადებისათვის

როგორ უნდა ეცნობოს ტექსამსახურს ტრასის უკაცრიელ მონაკვეთზე ავტომობილის ავარიის შესახებ? ფინურმა ფირმამ — „ერიკსონმა“ შექმნა საავარიო სატელეფონო კავშირის სისტემა, რომელიც მსგავსი შემთხვევებისათვის არის განკუთვნილი. მისი მეშვეობით შეიძლება „სასწრაფო დახმარების“, პოლიციის, სახანძრო რაზმის გამოძახება. გზატკეცილის გასწვრივ კაშკაშა ფერით შეღებილი ბოძებია ჩამწკრივებული. ბოროტგანმზრახველებმა რომ აპარატი არ დააზიანონ, მიკროფონი და ხმამაღლა მოლაპარაკე საიმედოდ არის დამალული ფოლადის კედლის უკან. აბონენტს თვითონვე შეუძლია ხმის სიძლიერის და მიკროფონის მგრძნობიარობის რეგულირება. ეს სატელეფონო ბოძები კარგად მოჩანს გზის პირებზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გზაჯვარედინზე.

### ტელევიზორი გამადიდებლით

დასავლეთგერმანული ფირმა „ლიოვე-ოპტის“ ახალი მოდელის ტელევიზორს აქვს სახელური, რომლის მეშვეობითაც ტელემაყურებელს შეუძლია ცენტრალური კადრი 30 პროცენტით გაადიდოს. ეს სიახლე განსაკუთრებით მოხერხებულია ფართოეკრანიანი ფილმის ყურებისას.

### ქირურგიული წებო

ავსტრიაში უშვებენ ქირურგიულ წებოს, რომელიც სისხლის შემადედებელი კომპონენტებისაგან შედგება. მათ გამოყოფენ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სისხლისაგან. ამ მახით შეიძლება გატეხილი [illegible]ის შეწებება, გაჭრილი ქსოვილების შეერთება, კბილის ამოღების შემდეგ დარჩენილი ღრმულის შევსება.

მ×e3 17. ლ×e3 (17. ლ×a8 მ×c2) კ×f5 18. ლ×e5 კ×c2

16. ... კb7 17. მa3

თუ 17. მc3?, მაშინ 17. ... მb4 18. ლ×b7 მ×c2 19. მფf2 კc5

17. ... კh4 18. მg3

g2—g3 კიდევ უფრო საგრძნობს გახდიდა h1—a8 დიაგონალის სისუსტეს.

18. ... e4! 19. ლg4 e3 20. კc1

თუ 20. კc3??, მაშინ 20. ... მ×c3 21. bc ლd2

20. ... h5! 21. ლd1

თუ 21. ლ×h5, მაშინ 21. ... მf4 22. ლg4 ლd4!

21. ... ლa5 22. მფf1 ეfe8 23. მe2 მc3!!

დათო ლობჟანიძის თამაში შთამბეჭდავია.

თეთრების მდგომარეობა უიმედოა. მაგალითად: 24. მ×c3 ლ×f5 25. მფe2 ლg4 ან 24. ლd3 ეad8 (24. ლd7 ეad8).

24. bc ლ×f5

ახლა შამათი გარდაუვალია. თეთრები დანებდნენ.

მშვენიერი პოზიციაა, (იხ. დიაგრამა), რომელიც შეიქმნა პირველთანრიგოსნების, ქუთაისელი თუთარაშვილისა და თბილისელი შალამბერიძის პარტიაში შემდეგი სვლების შედეგად: 1. e4 e5 2. f4 ef 3. მf3 d6 4. d4 g5 5. კc4 h6 6. 0—0 კg7 7. c3 კe6 8. d5? კc8 9. მa3 მe7 10. მd4 მd7?? 11. g3! fg?? 12. მe6! gh 13. მფh1

შალამბერიძე



თუთარაშვილი

შავები დანებდნენ.

გასაკვირია ისეთი ძლიერი და სერიოზული მოჭადრაკისაგან, როგორიც კახა შალამბერიძეა.

მავნე ტრადიციად იქცა ნორჩი მოჭადრაკეების ლტოლვა დახურული სისტემებისადმი, რის შედეგად ღია, გამბიტურკომბინაციურ პოზიციებში მოიკოჭლებენ. დიდოსტატი რიხარდ რეტი ამბობს: „ჯერ უნდა ვისწავლოთ კომბინირება, ვიდრე მოვსინჯავდეთ პოზიციურად თამაშს“.

ნიჭიერი და აგრესიული მოჭადრაკეა ზუგდიდელი ოსტატობის კანდიდატი, 18 წლის გიზო ჭურღულია. კვეზერელთან (რუსთავი) პარტიაში მან დებიუტშივე გაიღო დიდი მატერიალური მსხვერპლი შავი მეფის ცენტრში დასატოვებლად.

თეთრების შეტევა ჩიხში მოექცა. შავებს ზედმეტი ეტლი ჰყავთ. მარცხი თითქოს გარდაუვალია, მაგრამ გიზო ჭურღულია პოულობს ბრწყინვალე საყაიმო კომბინაციას:

კვეზერელი



ჭურღულია

29. ეe7!! მ×e7 30. მe6! fe 31. ლ×e7 მფc7 32. ლd6 მუდმივი ქიში.

ჩვენი დახმარებით, ვაზისუბნელი (გურჯაანის რაიონი) მოჭადრაკე გოგონა ქეთევან ლარიბაშვილი თამაშობს ორ პარტიას მიმოწერით თბილისელ მ. თავაძესთან. ერთი პარტია უკვე დამთავრდა ქეთევანის სასარგებლოდ. აი ისიც.

სიცილიური დაცვა

თავაძე
(თბილისი)

ლარიბაშვილი
(ვაზისუბანი)

1982 წელი

1. e4 c5 2. მf3 e6 3. d4 cd 4. მ×d4 a6 5. კd3 ლc7 6. 0—0 კc5 7. მb3 კd6 8. f4 b6 9. e5 კc5 10. მ×c5 ლ×c5 11. მფh1 კb7 12. ეe1 ლf2 13. ეe2 კ×g2++

მსურველს შეუძლია ეთამაშოს მიმოწერით ქეთევან ლარიბაშვილს.

ახლა კვლავ დავუბრუნდეთ ბათუმში ჩატარებულ ჩემპიონატს. ამოსახსნელად გთავაზობთ კაპანაძე (ბათუმი) — შალამბერიძის (თბილისი) პარტიის დაბოლოებას.

შალამბერიძე



კაპანაძე

ამ პოზიციაში შავებმა განახორციელეს ბრწყინვალე საშამათო კომბინაცია.

ველით თქვენს პასუხს.

## უცხოური იუმორი

— მამა, მართალია, რომ ჩვენ სხვებს უნდა დავეხმაროთ ხოლმე?
— სწორია, მიშელ!
— იმ სხვებმა რაღა უნდა ქნან?

ჟაკო მაღაზიიდან დაბრუნდა.
— ჟაკო, ჰქონდა გამყიდველს ლორის ფეხები?
— ვერ შევამჩნიე, წინდები ეცვა.

ზოოპარკში, გალიის წინ, ერთი ქალბატონი ეუბნება გვერდზე მდგომ კაცს:
— ღმერთო ჩემო, ლაპარაკი რომ სცოდნოდა, ნეტავ რას იტყოდა ეს ვეფხვი?
— ლომი ვარო, მადამ, — მიუგო კაცმა.

პიერი გამოცდიდან დაბრუნდა. ჰკითხეს, როგორი გამომცდელი შეგხვდაო.
— ძალზე ღვთისმოსავი, — ამბობს პიერი, — ყოველი ჩემი პასუხის შემდეგ სულ „ღმერთო ჩემოს“ იძახდა.

უცხოური იუმორი

დაწყებით კლასში მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს:
— ბავშვებო, ვინ იცის ათამდე თვლა?
ყველამ ერთდროულად ასწია ხელი.
— კარგია! ათის შემდეგ?
ხელი პატარა ჟაკომ ასწია.
— ყოჩაღ, ჟაკო, აბა, გისმენთ!
— ათი, ვალეტი, ქალი, მეფე, ტუზი...

ფრანგულიდან თარგმნა გ. ალავიძემ




### მინიატურული წიგნი

იაპონურმა ფირმა „ტაპანმა“ ამას წინათ გამოსცა მინიატურული წიგნი, რომლის თითოეული გვერდის ფართობი 1,4 კვადრატული მილიმეტრია. ერთ გვერდში ეტევა 0,07 მილიმეტრი სიმაღლის ასოებისაგან დაბეჭდილი ორმოცდაათი ინგლისური სიტყვისაგან შემდგარი ტექსტი.

### „აკრძალული პარკების ქალაქი“

ამას წინათ ასე უწოდა ქალაქ რომს ერთმა იტალიურმა გაზეთმა. ქალაქის პარკების მხოლოდ მესამედი არის ხელმისაწვდომი მცხოვრებთათვის. ორი მესამედი კერძო პირებს ეკუთვნის. რომში, მაგალითად, არის „ვილა კოლონა“ — XVII საუკუნის შადრევნებითა და ქანდაკებებით დამშვენებული პარკი, რომელსაც დღევანდელი რომაელები მხოლოდ ძველი გრავიურებით იცნობენ. ისტორიკოსებსაც კი ვერ მიუღიათ ამ პარკში შესვლის ნებართვა.

### ზვიგენთან ბრძოლის ახალი ხერხი

რა საშუალება არ გამოიგონა ადამიანმა ზვიგენთან ბრძოლისათვის! საფრთხეს რომ გადაურჩნენ და წყალქვეშ მშვიდად იმუშაონ, აკვალანგისტები ხმარობენ ზვიგენის დამაუძლურებელ შხამებს, მის დამაფრთხობელ ძლიერსუნიან ნივთიერებებს, იცვამენ სკაფანდრებს, რომელთაც ვერაფერს აკლებს ზღვის მტაცებელთა კბილები... ახლახან კი, წყნარ ოკეანეში, კალიფორნიის ნაპირებთან წყალქვეშა დაკვირვებებზე მომუშავე აკვალანგისტებისათვის შეიქმნა მსუბუქი საყვინთავი კოსტიუმები, რომლებზეც ზღვის გველებია დახატული. თურმე ზვიგენებს ძალიან ეშინიათ ამ შხამიანი ქვეწარმავლებისა და, თუ სადმე თვალს მოკრავენ მათ, მაშინვე გაეცლებიან იქაურობას.

### ისევ თამბაქოს მავნეობაზე

დიუსელდორფის „ინფარქტთან ბრძოლის საზოგადოებამ“ კამპანია გააჩაღა თამბაქოს მოწევის წინააღმდეგ. საზოგადოების აქტივისტი წევრები აღნიშნავენ, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში წელიწადში 100.000 კაცი იღუპება თამბაქოს მოწევით გამოწვეული ინფარქტისაგან, 40 ათასს კი ამ მიზეზით ფეხების ამპუტაცია უწევს.

### არ ესროლოთ: ძროხაა!

ყოველი წლის შემოდგომაზე, ნადირობის სეზონის დაწყების წინ ესპანელი გლეხები თავიანთ ძროხებს ფერდებზე ვეებერთელა ასოებით, გამძლე საღებავებით აწერენ: „ვაკა“ (რაც ნიშნავს — „ძროხა“). ეს წარწერა, ცხადია, არც ძროხებისათვის კეთდება, რომელთაც კითხვა არ შეუძლიათ, და არც ფერმერებისთვის, რომლებმაც ისეც იციან, რომ „ვაკა“ არ არის „კაბალო“ (ცხენი), ან „პუერკა“ (ღორი). საქმე ის არის, რომ აზარტულ ესპანელ მონადირეებს ძროხები ხშირად ეშლებათ დასახოცად ნებადართულ ნადირში.

### კუნძული რომ გაქრა...

შმაგმა ზღვის დინებებმა, ქარმა და ტალღებმა მთლიანად დაანგრიეს ტანზანიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე კუნძული მაზივი. ამ ამბავმა განსაკუთრებით მეცნიერები შეაშფოთა. საქმე ის არის, რომ სწორედ ამ კუნძულზე დებდა კვერცხებს ზოგიერთი სახეობის ზღვის კუ, ახლა კი, რაკი ამის საშუალება მოაკლდათ, ეს სახეობებიც შეიძლება გაქრნენ.

## სარჩევი

**ე. ნადირაშვილი** — სარვამარტო მისალოცი (ლექსი. გარეკ. 2); გულადი ყვავილი; ბებოს თორნე; დედისერთას გასაჭირი (ლექსები) . . . 23
**ნ. ფავლენიშვილი** — კვლავაც გამარჯვებით შევლოთ! (ნარკვევი) . . . . . . გარეკ. 2
**ზ. ჩხაიძე** — ჯადოსნური საყვირი (მოთხრობა, დასასრული) . . . . . . . 4
**გ. წერეთელი** — ერეკლესაგან სამასი არაგველის დატირება (ბალადა) . . . . . . 11
**ო. იოსელიანი** — შურისმაძიებელი კურდღელი (ზღაპარი) . . . . . . . 12
შენი უცხოელი თანატოლები . . . 16
**შ. ფორჩხიძე** — დაიხსომეთ, ანდერძს გიწერთ; მზემ სიცილი გააზშირა; მოფერება უნდა ტყეს! (ლექსები) . . . . . . . 18
**რაბი დ. ილიანი** — მზისმსმელი ჭაბუკი (თქმულება) 19
საინტერესო სიახლენი . . . 19
აისი . . . . . . . . 20
შევკრიბოთ ხალხური საუნჯე . . 22
**პ. კლემი** — დიდი გატაცება (მოთხრობა) . . 24
კოცონი . . . . . . . . 26
**ო. შუდრა** — ხასიათი, ნებისყოფა, ყურადღება (წერილი) . . . . . . . 28
მხედრიონი . . . . . . . 30
უცხოური იუმორი . . . . . . 31
ჯადოსნური სარკე . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . . . გარეკ. 3

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა ელისო ცაბაძისა.

მთავარი რედაქტორი გაგულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ ბოცვაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, რობერტ ლარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეწირული, ზურაბ წვერიკმაზაშვილი, ზურაბ ჟუჟუნიძე.

Lia Kwatadse

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-58-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 24. 01. 83. წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17. 03. 83. წ., ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^{1}/_{3}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 222. ტირ. 152.900. უგ. უე 14344.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат $60 \times 90^{1}/_{3}$, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 152900 экз. Цена 20 коп.

© „პიონერი“, 1983 წ.

Lia Kwatadse

## კარგად დაფიქრდით

1). დაეხმარეთ მხედარს იპოვოს ციხე-კოშკთან მიმავალი გზა.

2). თქვენს წინაა ექვსი გრამაფონი. აგრეთვე ერთ-ერთი მათგანის ნეგატური გამოსახულება. გამოიცანით რომლისაა?

3). სურათებზე მოცემულია ორი კუბი და ერთ-ერთი მათგანის გადანაშალი. გამოიცანით რომლისაა?

4). ეს რთული ფიგურა დომინოს კოჭებისაგანაა შემდგარი. შეგიძლიათ მოძებნოთ გზა ზევითა ისრიდან ქვეითამდე? ცხადია, მხოლოდ დომინოს კოჭებზე გავლით. ყურადღებით იყავით!










## ააწყვეთ რუკა

აიღეთ მცირე ზომის გეოგრაფიული რუკა (შეგიძლიათ გამოიყენოთ ძველი სასკოლო ატლასი), დააწებეთ თხელ მუყაოზე, შემდეგ რუკა დაჭერით თანაბარ ოთხკუთხედებად ან სწორკუთხედებად. სათამაშოც მზად არის. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ამ ნაწილებიდან სწორად ააწყოთ რუკა. შეგიძლიათ შეჯიბრებაც მოაწყოთ.

## გამოცანები

●

ერთი უფსკერო სკივრი მაქვს,
უხილავია თვალით,
შიგ მიზის, ვინც კი მინახავს,
ყველა —
კაცი თუ ქალი.
აქ ერთ კუთხეში მიწყვია
იის და ვარდის ფერი.
აგერ — მაღალი პალმაა,
გვერდით — ბალახის ღერი.
ვერცხლისწყალივით ციმციმებს
წყაროს წყლით სავსე ჯამი.
ეს — გაბადრული მთვარეა,
ეს — მზის ამოსვლის წამი.
აი — ნეკერჩხლის ფოთოლი,
ეს კიდევ — მუხის ფესვი.
იქ — იასამნის სურნელი,
აქ — საყვარელი ლექსი.
მშვიდობიანად მოთავსდნენ
ერთად მგელი და შუნი...
მოკლედ, სკივრია ისეთი,
არ დაედება წუნი.




●

ერთი მაჭლაჭუნა ვიცი,
თუ დაგძლია — მტრისას:
საკუთარ თავს დაგავიწყებს,
არა მარტო სხვისას.
ვინმეს შველა რომ გინდოდეს,
დაგანებებს განა?
დილაობით არ გაგიშვებს
პირის დასაბანად.
ერთხელ თუკი აგიკრძალა —
ვერ გაიხეხ კბილებს,
ის კი არა, თვით თმასაც კი
არ დაგავარცხნინებს.
საწერკალამს აიღებ და —
გადააგდებ მყისვე,
გახედვაც კი აღარა გსურს
შენი წიგნებისკენ.
თვალი აღარ გაგექცევა
შენი სკოლის მხარეს.
ის კი არა, გვიან ღამით
არ მიხურავ კარებს...
...ერთი მაჭლაჭუნა ვიცი,
ავი გული უცემს.
ერთხელ თუკი დაგიმონა,
თავსაც მოგჭრის უცებ.

ნ. მარიხია

## პასუხი № 2-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

### მემკვიდრის არჩევა

მეფე სამ შავ ანაბეჭდზე ნაკლებს ვერ გააკეთებდა; წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი, ვისაც შავი ანაბეჭდი ჰქონდა, დაინახავდნენ უფრო მეტ თეთრ ანაბეჭდს, ვიდრე — შავს, და ფეხზე აღარ წამოდგებოდნენ. ახლა ვნახოთ, რა მოხდებოდა, თუ მეფე სამ შავ ანაბეჭდს გააკეთებდა; ასეთ შემთხვევაში ოთხივე ჭაბუკი ფეხზე წამოდგებოდა, შავანაბეჭდიანი სამი ჭაბუკიდან სათითაოდ ყველა დაასკვნიდა, რომ მას აქვს შავი ანაბეჭდი, წინააღმდეგ შემთხვევაში შავ ანაბეჭდთა რიცხვი უნდა ყოფილიყო სამზე ნაკლები. მაშინ, რა თქმა უნდა, ყველა არ ადგებოდა ფეხზე. ყველა მათგანს გაუძნელდა გამოცნობა, თუ რა ფერის ანაბეჭდი ჰქონდა შუბლზე; გამოდის, რომ მეფეს სამი შავი ანაბეჭდი გაუკეთებია. ჭაბუკი, რომელმაც ბოლოს და ბოლოს გამოიცნო, რომ მას შავი ანაბეჭდი აქვს, ასე მივიდა ამ დასკვნამდე: „მე რომ თეთრი ანაბეჭდი მქონდეს, მაშინ სამთაგან რომელიმე მიხვდებოდა, რომ მას აქვს შავი ანაბეჭდი; რადგან ისინი ამას ვერ მიხვდნენ და სდუმან, სწორედ ამიტომ უფრო უჭირთ ამ ამოცანის ამოხსნა. თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ მე შუბლზე მაქვს არა თეთრი, არამედ შავი ანაბეჭდი".

### გამოცანები

ბალახი, სოკო, პინგვინი, ბულბული, მაკრატელი.




ნახატები
ედუარდ ამბოკაძისა

ინდექსი 76657
ფასი 20 კაპ.




ზრდილობის გაკვეთილი.



უსიტყვოდ



— რას დამსგავსებიხარ?
— მაშ რა ვქნა: დედა მივლინებაშია, ბებო სოფელში წავიდა, ჩემმა დამ ხელი ილრძო, მე ვინლა მომივლიდა?!

ბუნების წიალში

